სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

47575148632417

საქართველო





სანოტარო მოქმედების დასახელება

ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის / სამეწარმეო ამხანაგობის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170349009

რეგისტრაციის თარიღი

04.04.2017 წ

ნოტარიუსი: დავით ოყროშიძე
მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 22/4
ტელეფონი: 995322745001

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ოთხ აპრილს, მე, დავით ოყროშიძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი #22/4, მიმიწვიეს სანოტარო მოქმედების შესასრულებლად მისამართზე: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. #7, სავაჭრო ცენტრ „ქარვასლა"-ს საკონფერენციო დარბაზში, სადაც ჩემს წინაშე წარსდგნენ შემდეგი სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირები:

1) **სოსო მაჩაიძე** (პ/ნ 35001015126, დაბ. 21.12.1979წ. მისამართი: ქ. რუსთავი, XXI მ/რ, კორპ. 12, ბ. 11), რომელიც გარდა საკუთარი თავისა მინდობილობით წარმოადგენდა **თეა აფხაიძეს** (პ/ნ 18001001027, დაბ. 10.07.1975წ. მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, სულხან ცინცაძეს ქუჩა, N 11, ბინა 17-18), თანახმად მინდობილობისა, რ/რ 170344550, რომელიც 04.04.2017წ. სანოტარო წესით დამოწმებულია ნოტარიუს ი. ხარძიანის მიერ;
2) ნინო ჭელიძე (პ/ნ 01030012249, დაბ. 02.10.1976წ. მისამართი: თბილისი, ზ.ქვლივიძის ქ. N 31);
3) ნინო რაზმიაშვილი (პ/ნ 43001006137, დაბ. 30.01.1984წ. მისამართი: ქარელი, ს. რუისი 31–ე, ქ. N 4);
4) ანა თოდაძე (პ/ნ 61001029162, დაბ. 24.06.1986წ. მისამართი: თბილისი, ვარკეთილის მას. ზემო პლატო, II მ/რ, კორ. 17, ბ. 100);
5) ვლასი ჯინჭარაძე (პ/ნ 62007013251, დაბ. 01.10.1988წ. მისამართი: გაგრა, ციხერვას ქ. N 3);
6) კოკი ბაბუნაშვილი (პ/ნ 01030025694, დაბ. 12.11.1983წ. მისამართი: თბილისი, ივ.ჯავახიშვილის ქ. N 29);
7) შორენა გაგლოევი (პ/ნ 01019008601, დაბ. 02.09.1979წ. მისამართი: თბილისი, კახეთის გზატ. N 36, კორ. 6, ბ. 102);
8) ანა ჩიხლაძე (პ/ნ 37001054771, დაბ. 05.11.1998წ. მისამართი: სამტრედიის მუნიციპალიტეტი, ქ. სამტრედია, 26 მაისის ქუჩა, N 71), რომელიც მინდობილობით წარმოადგენდა **იზოლდა ხუჭუას** (დაბ. 31.08.1950, პ/ნ 37001009877, მისამართი: სამტრედია, 26 მაისის ქ. N 71), თანახმად მინდობილობისა რ/რ # 170331557, დამოწმებული 31.03.2017წ. ნოტარიუს მარინე გოგოლაძის მიერ;
9) მამუკა გოგოლიძე (პ/ნ 38001045221, დაბ. 04.07.1987წ. მისამართი: საჩხერე, ს. მახათაური);
10) გივი კაპანაძე (პ/ნ 01024037147, დაბ. 01.04.1950წ. მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 33ა, ბინა 20);
11) გიორგი ხომეზური (პ/ნ 01025010799, დაბ. 02.05.1982წ. მისამართი: თბილისი, დიდი დიღომი დ. თავდადებულის ქ. N 2, ბ. 18);
12) გრიგოლ მახარაძე (პ/ნ 33001028833, დაბ. 11.05.1975წ. მისამართი: თბილისი, ე.ზედგინიძის ქ. N 11, ბ. 18);
13) თენგიზი კაპანაძე (პ/ნ 35001013119, დაბ. 22.11.1980წ. მისამართი: რუსთავი, სუმგ.მეტალურგთა ქ. კორ. 14, ბ. 13);
14) ლაშა ექიზაშვილი (პ/ნ 01003005311, დაბ. 26.09.1974წ. მისამართი: თბილისი, ო. დგებუაძის ქ. N 1, ბ. 29);
15) ნინო სოსელია (პ/ნ 35001071711, დაბ. 25.05.1965წ. მისამართი: რუსთავი, შ.რუსთაველის ქ. კორ. 19, ბ. 11);
16) დავით ტაბატაძე (პ/ნ 01001016480, დაბ. 27.08.1982წ. მისამართი: თბილისი ვაზისუბნის I მ/რ კორ. 13 ბ. 122), რომელიც მინდობილობით წარმოადგენდა ნიკოლოზ შამუგიას (პ/ნ

01031003289, დაბ. 25.02.1983წ. მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ. კორ. 23, ბ. 60), თანახმად მინდობილობისა რ/რ 170321893, რომელიც 29.03.2017წ. პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის რეჟიმში სანოტარო წესით დამოწმებულია ნოტარიუს შ. ხარაიშვილის მიერ;

17) ირინე მაზმიშვილი (პ/ნ 01008046925, დაბ. 01.03.1962წ. მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას IV კვარტალი, კორპუსი 2ბ, ბინა 28);

18) ინგა გაგნიძე (პ/ნ 01022001445, დაბ. 13.04.1969წ. მისამართი: თბილისი, მუხრანის ქ. N 31);

19) ქეთევან მჭედლიძე (პ/ნ 01001067741, დაბ. 15.11.1990წ. მისამართი: თბილისი, გლდანი, V მ/რ, კორ. 17, ბ. 179);

20) მაია ყარყარაშვილი (პ/ნ 12001035105, დაბ. 10.05.1974წ. მისამართი: თბილისი, პატარა ლილო, ც. დადიანის ქ. N 3);

21) ანა მაჭავარიანი (პ/ნ 01003008096, დაბ. 30.05.1973წ. მისამართი: თბილისი, მუხიანი, I მ/რ, კორ. 2, ბ. 113);

22) ნონა ხამიცაშვილი (პ/ნ 01010009569, დაბ. 12.01.1975წ. მისამართი: თბილისი, ზემო ვეძისის ქ. N 81);

23) ბონდო სოფრომაძე (პ/ნ 21001003637, დაბ. 16.12.1963წ. მისამართი: თერჯოლა, ს. რუფოთი მე–3, ქ. N 33),

24) თამარ კიკნაძე (პ/ნ 01016008122, დაბ. 09.04.1963წ. მისამართი: თბილისი, რუსთავის გზატ. N 14, ბ.

25) ნინო ველთაური (პ/ნ 01024052897, დაბ. 02.05.1988წ. მისამართი: თბილისი, ირ. აბაშიძის ქ. N 70, ბ. 123);

26) კარინე მალხაზოვა (პ/ნ 01012007585, დაბ. 30.04.1974წ. მისამართი: თბილისი, ა. სომხიკის ქ. N 5);

27) თეა სხირტლაძე (პ/ნ 35001049746, დაბ. 10.01.1985წ. მისამართი: რუსთავი, XVII მ/რ, კორ. 1, ბ. 60);

28) იროდიონ თოდუა (პ/ნ 42001010863, დაბ. 18.10.1982წ. მისამართი: ფოთი, ვაჟა-ფშაველას ქ. N 18);

29) ანა იოსელიანი (პ/ნ 01002025195, დაბ. 05.05.1965წ. მისამართი: თბილისი, გლდანი, III მ/რ, კორ. 79ბ, ბ. 102);

30) ქეთევან ოქროპირიძე (პ/ნ 01022005512, დაბ. 03.02.1982წ. მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას II კვარტალი, კორპუსი 1, ბინა 123);

31) გიორგი შარიქაძე (პ/ნ 01005003541, დაბ. 29.09.1978წ. მისამართი: ქალაქი თბილისი, ბათუმის ქუჩა N 29, ბინა 9),

32) ირაკლი დარსალია (პ/ნ 62001030215, დაბ. 08.07.1985წ. რეგისტრირებული მისამართი: სოხუმი, ოქტომბრის ქ. N 16ა, ფაქტობრივი მისამართი: თბილისი, ვაზისუბნის 3 მ/რ, პირველი კვარტალი, კორპ. 5, ბ. 53),

33) გიორგი გეგეჭკორი (პ/ნ 62006063583, დაბ. 23.09.1991წ. რეგისტრირებული მისამართი: გალი, მელიქიშვილის ქ. N 48, ფაქტობრივი მისამართი: თბილისი, წყნეთი, სოხუმის პირველი ჩიხი, კორპ. 1, ბ. 2),

34) გიორგი კვაჭანტირაძე (პ/ნ 01011075236, დაბ. 05.08.1990წ. მისამართი: თბილისი იუნკერთა ქ. N 22), რომელიც მინდობილობით წარმოადგენდა გივი მეიშვილს (პ/ნ 01019064702, დაბ. 14.09.1991წ. მისამართი: თბილისი ჩარგლის ქ. N 104), თანახმად მინდობილობისა რ/რ 170333927, რომელიც 31.03.2017წ. პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის რეჟიმში სანოტარო წესით დამოწმებულია ნოტარიუს თ. ჯიქურაულის მიერ;

35) ანა ნიკვაშვილი (პ/ნ 01027026269, დაბ. 30.11.1986წ. მისამართი: თბილისი III მასივი X კვ. კორპ. „ე", ბ. 11),

36) თენგიზ თიკანაშვილი (პ/ნ 62007007054, დაბ. 23.09.1983წ. რეგისტრირებული მისამართი: გაგრა, ა. წერეთლის ქ.37\2, ბინა 30, ფაქტობრივი მისამართი: თბილისი, ს. ჩიქოვანის ქ. კორპ. 4, ბ. 53)

37) გიორგი რატიანი (პ/ნ 61004010540, დაბ. 28.09.1983წ. მისამართი: თბილისი, ვაზისუბნის I მ/რ, კორ. 6, ბ. 61),

38) არჩილ კოტია (პ/ნ 29001024522, დაბ. 26.11.1989წ. მისამართი: მარტვილი, ს. ბანძა, 26–ე ქ. N 34),

39) ნინო მაღლაკელიძე (პ/ნ 01028006650, დაბ. 15.08.1986წ. მისამართი: თბილისი, ლილოს დას. IV კვ. კორ. 13, ბ. 25),

40) ბორის დონჯაშვილი (პ/ნ 01012005335, დაბ. 14.09.1974წ. მისამართი: ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, II მიკრო/რაიონი, კორპუსი 14, ბინა 66),

41) ნაირა ბეპიევი (პ/ნ 01003001101, დაბ. 29.07.1948წ. მისამართი: თბილისი, მუხიანის მე-2 მ/რ, კორპ. 5, ბ. 97),

42) თამარა ზიგერ-პოპიაშვილი (პ/ნ 01003002144, დაბ. 02.10.1977წ. მისამართი: თბილისი, ლ. ასათიანის ქ. #34,

43) ნინო ბექაური (პ/ნ 01017010093, დაბ. 09.11.1985წ. მისამართი: ქალაქი თბილისი, ვ. გუნიას II გას. №5),

44) გიორგი ბიწაძე (პ/ნ 01017044425, დაბ. 11.11.1991წ. მისამართი: ქალაქი თბილისი, გომის ქ. N 2),

45) ნათია ჩიღუნაძე (პ/ნ 01013002081, დაბ. 12.08.1978წ. მისამართი: ქალაქი თბილისი, ვარკეთილი, 3 I მ/რ, კორ. 8, ბ. 47),

46) დავით მეტრეველი (პ/ნ 01017007604, დაბ. 06.02.1979წ. მისამართი: ქალაქი თბილისი, ლ. ასათიანის ქ. 54/56),

47) დავით შათირიშვილი (პ/ნ 35001001725, დაბ. 21.01.1976წ. მისამართი: რუსთავი, XIX მ/რ, კორ. 10 , ბინა 99),

48) ნელი ბენდიანიშვილი (პ/ნ 01030025522, დაბ. 09.11.1971წ. მისამართი: ქალაქი თბილისი, გუმათის ქ. 14),

49) რუსუდან პაპიაშვილი (პ/ნ 01027032478, დაბ. 23.04.1969წ. მისამართი: თბილისი, რ. ხომლელის ქ. კორ. „ე", ბინა 22),

50) ბაგრატი ნერგაძე (პ/ნ 01017024983, დაბ. 24.05.1987წ. მისამართი: ქალაქი თბილისი, გ. ლეონიძის ქ.1),

51) ზურაბ მაისურაძე (პ/ნ 01005030318, დაბ. 17.09.1993წ. მისამართი: თბილისი, ეგნატე და ვახტანგ ფიფიების ქუჩა, N 5, ბინა 9),

52) შორენა უსუფაშვილი (პ/ნ 40001010235, დაბ. 30.09.1987წ. მისამართი: ბოლნისის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ბოლნისი, გრიგოლ რობაქიძეს ქუჩა, N 1),

53) დავით ჯუღელი (პ/ნ 01030005773, დაბ. 11.12.1973წ. მისამართი: ქალაქი თბილისი, ნ. გოგოლის ქ.48),

54) ნინო პოპიაშვილი (პ/ნ 01003003263, დაბ. 12.03.1976წ. მისამართი: თბილისი ლ. ასათიანის ქ. N34), რომელიც მინდობილობით წარმოადგენდა ელგუჯა ბეპიევს (პ/ნ 01024000201, დაბადებული 21.01.1957წ. მისამართი: თბილისი ვარკეთილის მას. II მ/რ კორ. 10 ბ. 146), თანახმად მინდობილობისა რ/რ 170322451, რომელიც 30.03.2017წ. სანოტარო წესით დამოწმებულია ნოტარიუს ნ. ჩახტაურის მიერ;

55) მარიამ ხომასურიძე (პ/ნ 01005001801, დაბ. 04.04.1979წ. მისამართი: ქალაქი თბილისი, ო. დგებუაძის ქ. 1, ბინა 16),

56) ზურაბ შახაძე (პ/ნ 08001007228, დაბ. 18.07.1985წ. მისამართი: ქალაქი თბილისი, ვარკეთილი, 3 IV მ/რ, კორ. 409, ბ. 27),

57) ლია გოგოლაური (პ/ნ 47001008095, დაბ. 19.01.1976წ. მისამართი: ქალაქი თბილისი, დიდი დილომი, ი.პეტრიწის ქ. N 15, ბ. 72),

58) ინგა გაგნიძე (პ/ნ 01022001445, დაბ. 13.04.1969წ. მისამართი: თბილისი მუხრანის ქ. N 31), რომელიც მინდობილობით წარმოადგენდა მიხაელ საპირს (პ/ნ 01601135610, დაბადებული 04.01.1963წ. მისამართი: ქ. თბილისი, მ. თამარაშვილის ქ.4ა, ბ. 36), თანახმად მინდობილობისა რ/რ 170324146, რომელიც 30.03.2017წ. სანოტარო წესით დამოწმებულია ნოტარიუს თ. მაღალდაძის მიერ),

59) ნინო აბაიშვილი (პ/ნ 01030047611, დაბ. 02.07.1990წ. მისამართი: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. 39),

60) ეკატერინე გურგენიძე (პ/ნ 01008036816, დაბ. 05.06.1974წ. მისამართი: ქ. თბილისი, ხაზინის ქ. 5),

61) ქეთევან ქარენაშვილი (პ/ნ 01003014884, დაბ. 06.01.1985წ. მისამართი: თბილისი მუხიანი II მ/რ კორ. 11 ბ. 125), რომელიც მინდობილობით წარმოადგენდა ირაკლი ჭინჭარაულს (პ/ნ 01024028043, დაბ. 04.07.1981წ. მისამართი: თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ. კორ. 3, ბ. 79), თანახმად მინდობილობისა რ/რ 170334903, რომელზეც 01.04.2017წ. ხელმოწერა სანოტარო წესით დამოწმებულია ნოტარიუს მ. შვანგირაძის მიერ,

62) დავით მექვაბიშვილი (პ/ნ 01008019084, დაბ. 02.03.1982წ. მისამართი: ქ. თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, მიკრო/რაიონი II, კვარტალი III, კორპუსი 3, ბინა 27),

63) ვახტანგ ტატიაშვილი (პ/ნ 59001077431, დაბ. 28.07.1989წ. მისამართი: გორი, ს. ახალუბანი),

64) ირმა თევდორაძე (პ/ნ 60001011173, დაბ. 19.12.1961წ. მისამართი: ქუთაისი სულხან-საბას გამზ. N 81 ბ. 27),

65) ნიკოლოზ გურგენიძე (პ/ნ 01008008595, დაბ. 23.06.1972წ. მისამართი: თბილისი, ბესიკ ბურკიაშვილის ქუჩა, N 14),

66) მირანდა გუდაძე (პ/ნ 57001001456, დაბ. 15.02.1979წ. მისამართი: ხაშური, იმერეთის ქ. 76),

67) ილია გუდაძე (პ/ნ 01019053133, დაბ. 25.04.1991წ. მისამართი: თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. #35, ბ. 35)

68) შორენა მჟავანაძე (პ/ნ 01002020070, დაბ. 05.08.1976წ. მისამართი: ქალაქი თბილისი, ოთარ ჭილაძეს ქუჩა, N 166, კორპუსი 5, ბინა 35),

69) გია ზაქარაია (პ/ნ 62006039192, დაბ. 21.02.1974წ. რეგისტრირებული გალის რ-ნის ს. მუხური, ფაქტობრივად მცხოვრები: თბილისი, დაბა წყნეთი, გურამიშვილის ქუჩა, კორპ. 18, ბ. 7),

70) ეკატერინე თაბუკაშვილი (პ/ნ 01031006144, დაბ. 07.09.1989წ. მისამართი: თბილისი, ნ. გოგოლის ქ. #12),

71) თეა გაჩეჩილაძე (პ/ნ 01008041126, დაბ. 02.07.1989წ. მისამართი: თბილისი, ქობულეთის ქუჩა, N 3/15, ბინა 63),

72) თამარ ღვალაძე (პ/ნ 35001061950, დაბ. 13.06.1987წ. მისამართი: რუსთავი, თბილისის ქ. კორ. 33 ბ. 41),

73) ეკატერინე შუბითიძე (პ/ნ 01027018435, დაბ. 29.11.1982წ. მისამართი: თბილისი, კალოუბნის ქ. N 35, ბ. 33),

74) თამილა ჩაგელიშვილი (პ/ნ 01024039377, დაბ. 18.04.1970წ. მისამართი: თბილისი საბურთალოს ქ. N 37/4 ბ. 75),

75) ანა თევდორაძე (პ/ნ 01006015854, დაბ. 20.10.1985წ. მისამართი: ქალაქი თბილისი, ქობულეთის ქუჩა, N 34-36, ბინა 10),

76) მერაბ კაცობაშვილი (პ/ნ 01017004832, დაბ. 14.07.1957წ. მისამართი: ქ. თბილისი, ხაზინის ქ. 5),
77) დალი მანაშერიძე (პ/ნ 01017008827, დაბ. 14.03.1961წ. მისამართი: თბილისი, ხაზინის ქ. 5),
78) დავით ახვლედიანი (პ/ნ 01017027886, დაბ. 16.09.1987წ. მისამართი: თბილისი ო.ლორთქიფანიძის ქ. N 18 ბ. 4),
79) თეონა გვენეტაძე (პ/ნ 37001019027, დაბ. 28.02.1988წ. მისამართი: სამტრედია ს. ზედა ეწერი მე–4 ქ. N 4),
80) მანანა ცინაძე (პ/ნ 01008032352, დაბ. 09.06.1966წ. მისამართი: თბილისი კახეთის გზატ. N 34ა ბ. 52),
81) ნონა ლობჟანიძე (პ/ნ 01005013633, დაბ. 01.09.1988წ. მისამართი: თბილისი ე. ნინოშვილის ქ. N 50),
82) თამარი მულაძე (პ/ნ 01030029598, დაბ. 05.09.1984წ. მისამართი: თბილისი გ.სუნდუკიანის ქ. N 5 ბ. 4),
83) ოური იაგუტიანი (პ/ნ 01009023348, დაბ. 10.01.1988წ. მისამართი: ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას VII კვარტალი, კორპუსი 8, ბინა 10),
84) გიორგი ბაკაშვილი (პ/ნ 01008041104, დაბ. 08.11.1988წ. მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას II კვარტალი, კორპუსი 2, ბინა 3),
85) თამარ ალადაშვილი (პ/ნ 01011030552, დაბ. 18.05.1983წ. მისამართი: თბილისი, ალ. წურწუმიას ქ. 47) და

მათ განაცხადეს, რომ სურთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-940-ე მუხლების შესაბამისად, ერთობლივად იმოქმედონ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით და ამისათვის დააფუძნონ ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა. მხარეებმა მოითხოვეს ერთობლივი საქმიანობისა და ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობის დაფუძნების შესახებ აქტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. დამფუძნებელთა ნების დადგენისა და მათი განზრახვის სერიოზულობაში დარწმუნების შემდეგ, მე შევადგინე წინამდებარე ხელშეკრულების პროექტი, რომელიც წავუკითხე დამფუძნებლებს, განვუმარტე მათ სანოტარო მოქმედების შინაარსი და წინამდებარე აქტზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები. დამფუძნებლებს განემარტათ ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების შესახებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები, აგრეთვე განემარტათ საქართველოს საგადასახადო კოდექსის ნორმები ამხანაგობისა და ამხანაგობის წევრის წილთან დაკავშირებული დაბეგვრის რეჟიმებთან დაკავშირებით, მათ შორის: საგადასახადო კოდექსის მე-15 მ. მე-4 ნაწილის, 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ყ“ ქვეპუნქტის, 143-ე მუხლის, 157-ე მუხლის მე-6 ნაწილის, 161-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ქ“ ქვეპუნქტის, 168-ე 1-ლი ნაწილის „ღ“ და „ყ“ ქვეპუნქტების დებულებები.

დამფუძნებლებმა წაიკითხეს აქტი. განმარტებათა მოსმენის შემდეგ, მხარეებმა ჩემს წინაშე მკაფიოდ და ნათლად განაცხადეს, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად შეესაბამება მათ ნებას და თითოეულმა მათგანმა ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე ხელშეკრულებას.

წინამდებარე აქტის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, თან ერთვის დანართი: 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, მომზადების თარიღი: 07.02.2017წ. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი #01.18.06.019.110, განაცხადის რეგისტრაციის #882017059972 - 27.01.2017წ. 2.

მინდობილობა რ/რ # 170331557, დამოწმებული 31.03.2017წ. ნოტარიუს მარინე გოგოლაძის მიერ; 3. მინდობილობა რ/რ 170321893, რომელიც 29.03.2017წ. პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის რეჟიმში სანოტარო წესით დამოწმებულია ნოტარიუს შ. ხარაიშვილის მიერ; 4. მინდობილობა, რ/რ 170333927, რომელიც 31.03.2017წ. პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის რეჟიმში სანოტარო წესით დამოწმებულია ნოტარიუს თ. ჯიქურაულის მიერ; 5. მინდობილობა რ/რ 170322451, რომელიც 30.03.2017წ. სანოტარო წესით დამოწმებულია ნოტარიუს ნ. ჩახტაურის მიერ; 6. მინდობილობა რ/რ 170324146, რომელიც 30.03.2017წ. სანოტარო წესით დამოწმებულია ნოტარიუს თ. მაღალდაძის მიერ); 7. მინდობილობა, რ/რ 170334903, რომელზეც 01.04.2017წ. მარწმუნებლის ხელმოწერა სანოტარო წესით დამოწმებულია ნოტარიუს მ. შვანგირაძის მიერ. 8. მინდობილობა, რ/რ 170344550, რომელიც 04.04.2017წ. სანოტარო წესით დამოწმებულია ნოტარიუს ი. ხარძიანის მიერ.

მხარეებს ეკისრებათ საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის 6 277,39 ლარის ოდენობით, რაც გამოანგარიშებული და გადახდევინებულია გარიგების ღირებულებიდან ათი მილიონ ასოთხმოცდაცხრა ათას შვიდას სამოცდაცხრამეტი ლარიდან (ამხანაგობის წევრების მიერ უკვე გადახდილი შენატანების ჯამი), თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების მე-6, 23-ე და 34-ე მუხლებისა, აგრეთვე დღგ 1 129,93 ლარი. თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, აგრეთვე 2 (ორი) ლარი - ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 39-ე მუხლისა. სულ: 7 409,32 ლარი.

ხელშეკრულება
ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) და ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ჩვენი სახლი“-ს დაფუძნების შესახებ

ქ. თბილისი
ორი ათას ჩვიდმეტი წლის ოთხი აპრილი

ვინაიდან, მხარეები, მოქმედებენ რა ერთიანი მიზნით და ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე, აცხადებენ თანხმობას ხელი მოაწერონ წინამდებარე გარიგებას, გაიზიარონ მასში მოცემული პირობები და შეასრულონ ვალდებულებები,

და ვინაიდან, ამ გარიგების გაფორმების მომენტში არც ერთი ხელშემკვრელი მხარე არ მიუთითებს იმაზე გარემოებებზე, რაც ხელს შეუშლის, დააბრკოლებს ან/და შეუძლებელს გახდის რომელიმე მხარის მხრიდან წინამდებარე დოკუმენტით ნაკისრი ვალდებულებებისა და გაზიარებული პირობების შესრულებას,

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-940-ე მუხლებზე დაყრდნობით, აგრეთვე, მხარეთა ორმხრივ და მრავალმხრივ დაპირებათა გათვალისწინებით, მხარეები ხელს აწერენ წინამდებარე ხელშეკრულებას ერთობლივი საქმიანობისა და ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობის დაფუძნების შესახებ (შემდგომ ტექსტში „ამხანაგობის ხელშეკრულება“ ან „ხელშეკრულება“) და თანხმდებიან ამხანაგობის დაფუძნებაზე შემდეგი პირობებით:

მუხლი 1
სახელწოდება, მართვის ადგილსამყოფელი, დამფუძნებელი წევრები

1.1 ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) სრული სახელწოდებაა – **ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ჩვენი სახლი“** (შემდგომ ტექსტში „ამხანაგობა“). ამხანაგობის შემოკლებული სახელწოდებაა - **ი.ბ.ა. „ჩვენი სახლი“**.

1.2 ამხანაგობა წარმოადგენს ფიზიკურ პირთა გაერთიანებას, რომელიც შექმნილია ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული მიზნით. ამხანაგობას არ გააჩნია მოგების მიზანი.

1.3 ამხანაგობის იურიდიული მისამართი (მართვის ადგილსამყოფელი) განთავსდება მისამართზე: **ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 73.**

1.4. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის, ამხანაგობის დამფუძნებლები/მონაწილენი/წევრები იყოფიან შემდეგი სტატუსების მიხედვით:

(ა) ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრები;

(ბ) ამხანაგობის მმართველი წევრები;

(გ) ამხანაგობის თავდები წევრები.

1.5 ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრები არიან ამხანაგობის შემდეგი მონაწილეები:

სახელი, გვარი:	პირადი ნომერი:
თენგიზი კაპანაძე	35001013119
ლაშა ექიზაშვილი	01003005311
ნინო სოსელია	35001071711
თეა აფხაიძე	18001001027
ნიკოლოზ შამუგია	01031003289
ირინე მაზმიშვილი	01008046925
ინგა გაგნიძე	01022001445
ქეთევან მჭედლიძე	01001067741
მაია ყარყარაშვილი	12001035105
ანა მაჭავარიანი	01003008096
ნონა ხამიცაშვილი	01010009569
ბონდო სოფრომაძე	21001003637
თამარ კიკნაძე	01016008122
ნინო ველთაური	01024052897
კარინე მალხაზოვა	01012007585
თეა სხირტლაძე	35001049746
იროდიონ თოდუა	42001010863
ანა იოსელიანი	01002025195
ქეთევან ოქროპირიძე	01022005512
გიორგი შარიქაძე	01005003541
ირაკლი დარსალია	62001030215
გიორგი გეგეჭკორი	62006063583
გივი მეიშვილი	01019064702
ანა ნიკვაშვილი	01027026269
თენგიზ თიკანაშვილი	62007007054
გიორგი რატიანი	61004010540
ირმა კოტია	29001024522

ნინო მაღლაკელიძე	01028006650
ბორის დონჯაშვილი	01012005335
ნარა ბეპიევი	01003001101
თამარა ზიგერ-პოპიაშვილი	01003002144
ნინო ბექაური	01017010093
გიორგი ბიწაძე	01017044425
ნათია ჩილუნაძე	01013002081
დავით მეტრეველი	01017007604
დავით შათირიშვილი	35001001725
ნელი ბენდიანიშვილი	01030025522
რუსუდან პაპიაშვილი	01027032478
შაგრატი ნერგაძე	01017024983
ზურაბ მაისურაძე	01005030318
შორენა უსუფაშვილი	40001010235
დავით ჯუღელი	01030005773
ულგუჯა ბეპიევი	01024000201
მარიამ ხომასურიძე	01005001801
ზურაბ შახაძე	08001007228
ლია გოგოლაური	47001008095
მიხაელ საპირ	01601135610
ნინო აბაიშვილი	01030047611
ეკატერინე გურგენიძე	01008036816
ირაკლი ჭინჭარაული	01024028043
დავით მექვაბიშვილი	01008019084
ვასილ ტატიაშვილი	59001077431
ირმა თევდორაძე	60001011173
ნიკოლოზ გურგენიძე	01008008595
მირანდა გუდაძე	57001001456
ილია გუდაძე	01019053133
შორენა მჟავანაძე	01002020070
ყია ზაქარაია	62006039192
ეკატერინე თაბუკაშვილი	01031006144
თეა გაჩეჩილაძე	01008041126
თამარ ღვალაძე	35001061950
ეკატერინე შუბითიძე	01027018435
თამილა ჩაგელიშვილი	01024039377
ანა თევდორაძე	01006015854
ზურაბ კაცობაშვილი	01017004832
დალი მანაშერიძე	01017008827
დავით ახვლედიანი	01017027886
თეონა გვენეტაძე	37001019027
ხატია ცინაძე	01008032352
ნონა ლობჟანიძე	01005013633

თამარი მულაძე	01030029598
ეური იაგუტიანი	01009023348
გიორგი ბაკაშვილი	01008041104
თამარ ალადაშვილი	01011030552

რომლებიც ამ ხელშეკრულებაში შემდგომ ერთობლივად მოხსენიებულნი არიან, როგორც „ჩვეულებრივი წევრები“, ხოლო თითოეული ცალ-ცალკე, როგორც „ჩვეულებრივი წევრი“.

1.6. ამხანაგობის მმართველი წევრები არიან ამხანაგობის ხელშეკრულების 7.3 მუხლის შესაბამისად, ამხანაგობის გამგეობის წევრად არჩეული/დანიშნული ამხანაგობის შემდეგი მონაწილეები:

სახელი, გვარი	პირადი ნომერი:
სოსო მაჩაიძე	35001015126
ვლასი ჯინჭარაძე	62007013251
შორენა გაგლოევი	01019008601
კოკი ბაბუნაშვილი	01030025694
ნინო ჭელიძე	01030012249
ანა თოდაძე	61001029162
ნინო რაზმიაშვილი	43001006137

რომლებიც ამ ხელშეკრულებაში შემდგომ ერთობლივად მოხსენიებულნი არიან, როგორც „მმართველი წევრები“, ხოლო თითოეული ცალ-ცალკე, როგორც „მმართველი წევრი“.

1.7. ამხანაგობის თავდები წევრები არიან ამხანაგობის შემდეგი მონაწილეები:

სახელი, გვარი	პირადი ნომერი:
ირმოლდა ხუჭუა	37001009877
მამუკა გოგოლიძე	38001045221
გივი კაპანაძე	01024037147
გიორგი ხომეზური	01025010799
გრიგოლ მახარაძე	33001028833

რომლებიც ამ ხელშეკრულებაში შემდგომ ერთობლივად მოხსენიებულნი არიან, როგორც „თავდები წევრები“, ხოლო თითოეული ცალ-ცალკე, როგორც „თავდები წევრი“. „ჩვეულებრივი წევრები“, „მმართველი წევრები“ და „თავდები წევრები“ ამ ხელშეკრულებაში შემდგომ ერთობლივად მოხსენიებულნი არიან, როგორც „წევრები“, ხოლო თითოეული ცალ-ცალკე, როგორც „წევრი“.

1.8. ეს ამხანაგობის ხელშეკრულება წარმოადგენს ამხანაგობის სამოქმედო დებულებას, რომელიც შედგენილია შესასრულებლად ამხანაგობის ყველა წევრისათვის და განსაზღვრავს ერთობლივი საქმიანობის სახეობასა და მიზანს, მის ხანგრძლივობას, ამხანაგობის წევრების უფლება-მოვალეობებს, ამხანაგობის წევრებს შორის შემოსავლებისა და ზიანის განაწილების, ამხანაგობიდან გასვლისა და ამხანაგობაში წილის გადაცემის წესს, ამხანაგობის მართვის ორგანოთა სტრუქტურას, უფლებამოსილებასა და ფუნქციებს, ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტისა და ამხანაგობის ქონების განაწილების წესს.

მუხლი 2

ამხანაგობის მიზანი

2.1 ამხანაგობის წევრთა მიზანია წინამდებარე დაფუძნების აქტით განსაზღვრული წესით და ვადებში ერთობლივად იმოქმედონ მრავალფუნქციური და მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის (შემდგომში „საცხოვრებელი სახლი“) ასაშენებლად და მშენებლობის დასრულების შემდეგ ამ საცხოვრებელი სახლის ამხანაგობის წევრთა წილობრივი თანასაკუთრების მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის განსახორციელებლად. ამხანაგობის მიზანი ასევე მოიცავს საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, ამხანაგობის სახელით, მიწის ნაკვეთის შეძენას, რომლის მახასიათებლები და შეძენის პირობები ერთხმად შეთანხმებულია ამხანაგობის წევრებს შორის.

2.2 საცხოვრებელი სახლი უნდა აშენდეს ამხანაგობის წევრების მიერ საამისოდ შერჩეულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კერძოდ, კრწანისის რაიონში, გორგასლის ქ. #73, საკადასტრო კოდი 01.18.06.019.110 (შემდგომ ტექსტში „მიწის ნაკვეთი“). მიწის ნაკვეთის საერთო ფართია 3 661 (სამი ათას ექვსას სამოცდაერთი) კვ.მ.

2.3 წინამდებარე ხელშეკრულება იმავდროულად წარმოადგენს ამხანაგობის წევრების მიერ ერთხმად მიღებულ გადაწყვეტილებას მიწის ნაკვეთის შეძენაზე და ამხანაგობის თავმჯდომარისათვის მიწის ნაკვეთის შეძენის დასტურს. შესაბამისად, ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია ამხანაგობის მართვის ორგანოების მხრიდან სხვა შემდგომი დამატებითი თანხმობის გარეშე განახორციელოს მიწის ნაკვეთის შესაძენად აუცილებელი ყველა მოქმედება და ხელი მოაწეროს ყველა შესაბამის ხელშეკრულებას, იმ დათქმით, რომ მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ფასი შეადგენს და არ აღემატება 1 050 000 (ერთი მილიონ ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს ლარში, ხოლო მიწის ნაკვეთის შესაძენად ამხანაგობის მიერ გაწეული ჯამური ხარჯი ნასყიდობის ფასის, სამუშავლო მომსახურების საკომისიოსა და საბანკო მომსახურების ხარჯის ჩათვლით, არ აღემატება 1 075 000 (ერთი მილიონ სამოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს ლარში.

2.4 მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდება ამხანაგობის საკუთრებად.

2.5 საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მახასიათებლები (მათ შორის სართულიანობა, ფართების რაოდენობა, საცხოვრებელი და სხვა დანიშნულების ფართების რაოდენობა და განლაგება, თითოეული ბინის ფართი და სხვა მახასიათებლები) დადგინდება და დაზუსტდება სამშენებლო დოკუმენტაციით, რის შესაბამისადაც განისაზღვრება საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დანახარჯებისა და დამთავრების ვადები.

2.6 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულება გულისხმობს საცხოვრებელი სახლის იმ კონდიციამდე მიყვანას, რაც საქართველოს კანონმდებლობით აუცილებელია მშენებარე შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მისაღებად.

2.7 საცხოვრებელ სახლში ფართები უნდა განაწილდეს ამხანაგობის წევრებს შორის მათი წილების შესაბამისად, ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით შეთანხმებული პირობებით.

2.8 თუ ამხანაგობასა და ამხანაგობის წევრს შორის ინდივიდუალური ხელშეკრულებით სხვაგვარად არ შეთანხმდება, ამხანაგობის წევრებს ბინები გადაეცემათ შემდეგ მდგომარეობაში:

2.8.1 საცხოვრებელი სახლის ფასადი შელესილი და შეღებილი პროექტის შესაბამისად;

2.8.2 სადარბაზო მოპირკეთებული;

2.8.3 ლიფტები (2 ლიფტი) დამონტაჟებული და მუშა მდგომარეობაში

2.8.4 ფასტერიერზე მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა;

2.8.5. ბინის შესასვლელი რკინის კარი;
2.8.6. მოაჯირები მილკვადრატი ან მისი ანალოგი (ზოგიერთ აივანს შესაძლოა პროექტი შესაბამისად ჰქონდეს განსხვავებული იერსახე);
2.8.7. წყლისა და კანალიზაციის ცენტრალური დგარები დამონტაჟებული;
2.8.8. ელექტროენერგიის და გაზის კომუნიკაციები მიყვანილი ბინებამდე (მრიცხველების მონტაჟის გარეშე);
2.8.9. ტერიტორიის კეთილმოწყობა პროექტის მიხედვით.

მუხლი 3
წევრთა შენატანები ამხანაგობაში

3.1 ჩვეულებრივმა წევრებმა, ამხანაგობაში უნდა განახორციელონ სავალდებულო ფულადი შენატანი, რაც გულისხმობს შემდეგი გადასახდელების ჯამს:

3.1.1. მიწის ნაკვეთის შეძენისთვის საჭირო თანხა - საცხოვრებელ სახლში მისაღები ბინის საერთო ფართის პროპორციულად, ბინის (აივნის ფართის ჩათვლით) თითოეულ კვადრატულ მეტრზე 120 (ას ოცი) აშშ დოლარის გაანგარიშებით, საიდანაც არანაკლებ 40% (ორმოცი პროცენტი) გადახდილ უნდა იქნას არაუგვიანეს წინამდებარე ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, ხოლო დარჩენილი ნაწილი - ამხანაგობის გამგეობის მიერ განსაზღვრული გრაფიკით;

3.1.2. საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად განაშენიანების ინტენსივობის „კ–2“ კოეფიციენტის მოსაკრებლის თანხა - საცხოვრებელ სახლში მისაღები ბინის საერთო ფართის პროპორციულად - 26 ლარის ოდენობით ბინის თითოეული კვ.მ.-ზე, რომელიც უნდა გადახდილ იქნეს ამხანაგობის გამგეობის მიერ განსაზღვრული გრაფიკით;

3.1.3. საცხოვრებელი სახლის პროექტირებისა და მშენებლობის წარმოებისათვის საჭირო თანხა - საცხოვრებელ სახლში მისაღები ბინის საერთო ფართის პროპორციულად, ბინის თითოეულ კვადრატულ მეტრზე 190 (ასოთხმოცდაათი) აშშ დოლარის გაანგარიშებით, საიდანაც არანაკლებ 40% (ორმოცი პროცენტი) გადახდილ უნდა იქნას არაუგვიანეს წინამდებარე ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, ხოლო დარჩენილი ნაწილი - ამხანაგობის გამგეობის მიერ განსაზღვრული გრაფიკით;

3.1.4. 1 (ერთი) ავტოსადგომის ანგარიშში - 3 800 (სამი ათას რვაასი) აშშ დოლარი, რომელიც უნდა გადახდილ იქნეს ამხანაგობის გამგეობის მიერ განსაზღვრული გრაფიკით;

3.1.5. საცხოვრებელი სახლის ცენტრალური საინჟინრო კომუნიკაციებით უზრუნველსაყოფად (მათ მოსაწყობად) საჭირო თანხა - არაუმეტეს 2 500 (ორი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარისა თითოეულ ბინაზე, რომელიც გადახდილ უნდა იქნას ამხანაგობის გამგეობის მიერ განსაზღვრული გრაფიკით;

3.1.6. სხვა სამეურნეო და წინასწარ გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის - 500 (ხუთასი) ლარი, რომელიც გადახდილ უნდა იქნას - ამხანაგობის გამგეობის მიერ განსაზღვრული გრაფიკით.

3.2 მმართველი წევრი ვალდებულია ამხანაგობაში სავალდებულო შესატანის სახით:

3.2.1. ამხანაგობის სასარგებლოდ განახორციელოს ასაშენებელი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადების, მისი შეთანხმების, მშენებლობის ნებართვის აღების, მშენებლობის განხორციელებისთვის საორგანიზაციო საკითხების მომზადების, მენარდესთან ნარდობის ხელშეკრულების გაფორმების, მენარდის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების კონტროლის, საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღების საკითხებზე იურიდიული, საორგანიზაციო და სხვა თანამდევი მომსახურების გაწევა, ამხანაგობის მართვა, ამხანაგობის წევრთა შორის კომუნიკაცია, ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მოვლა-პატრონობა, ფინანსური სახსრების აღრიცხვა და დანიშნულებისამებრ ხარჯვის კონტროლი, აგრეთვე გამგეობის წევრისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფუნქცია-მოვალეობების შესრულება, რასაც თითოეული მათგანი განახორციელებს ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების გარეშე;

3.2.2. ამხანაგობაში შეიტანოს საცხოვრებელი სახლის პროექტირებისა და მშენებლობის წარმოებისათვის საჭირო თანხა (რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების 3.1.3 პუნქტით) და ავტოსადგომის ღირებულება (რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების 3.1.4 პუნქტით) - მშენებლობის დასრულებადე თავისუფალი გრაფიკით;

3.2.3. იმ შემთხვევაში, თუ მმართველი წევრის მიერ ამხანაგობიდან მისაღები ბინ(ებ)ის (არაუმეტეს 2 ერთეული ბინა) ფართი აღემატება 130 (ასოცდაათი) კვ.მ.-ს („საშეღავათო ზღვარი"), გადაიხადოს მიწის ნაკვეთის შესაძენი თანხა (რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების 3.1.1 პუნქტით) და კოეფიციენტის მოსაკრებლის თანხა (რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების 3.1.2 პუნქტით) საშეღავათო ზღვრის ზემოთ მისაღები თითოეული კვადრატული მეტრისათვის;

3.2.4. იმ შემთხვევაში, თუ მმართველი წევრის მიერ ამხანაგობიდან მისაღები ბინების რაოდენობა აღემატება 2 ერთეულს, გადაიხადოს საცხოვრებელი სახლის ცენტრალური საინჟინრო კომუნიკაციებით უზრუნველსაყოფად საჭირო თანხა (რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების 3.1.5 პუნქტით) ყოველი დამატებითი ბინისათვის.

3.3. ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული სპეციალური პირობები მმართველ წევრებს უნარჩუნდებათ გამგეობის წევრობიდან გადაყენების ან გამგეობის წევრობის სხვაგვარად შეწყვეტის შემთხვევაშიც, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მმართველი წევრი უხეშად დაარღვევს ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

3.4. თავდები წევრები ვალდებულნი არიან ამხანაგობაში სავალდებულო შესატანის სახით:

3.4.1. ამხანაგობის სასარგებლოდ განახორციელონ მშენებლობის პროცესის ორგანიზაციული ზედამხედველობის და ზედამხედველობის, სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადების, მისი შეთანხმების, მშენებლობის ნებართვების აღების, სამშენებლო სამუშაოების წარმართვის, დასრულებული შენობა–ნაგებობ(ებ)ის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით სამუშაოების შემსრულებელი კვალიფიციური კომპანიის/ფიზიკური პირის (მენარდის) მოძიება. იმისათვის რომ ეს შესატანი ამხანაგობისთვის იყოს ფასეული, თითოეული თავდები წევრი პასუხისმგებელია მენარდის შერჩევაზე, მენარდის მატერიალურ-ტექნიკურ და ფინანსურ შესაძლებლობებზე, მშენებლობის წარმოების გამოცდილებასა და უნარზე შეასრულოს ნარდობის ხელშეკრულებით ამხანაგობის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას;

3.4.2. 3.4.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლის შესაბამისად, ამხანაგობის სასარგებლოდ დამატებით იკისრონ სოლიდარული პასუხისმგებლობა მენარდის მიერ ნარდობის ხელშეკრულებით ნაკისრ

ვალდებულებების შესრულებაზე, ისეთი ზღვრული თანხის ფარგლებში, რაც შეესაბამება ამხანაგობაში შესაბამისი თავდები წევრის წილის ღირებულებას;

3.4.3. ამხანაგობაში შეიტანონ საცხოვრებელი სახლის პროექტირებისა და მშენებლობის წარმოებისათვის საჭირო თანხა (რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების 3.1.3 პუნქტით) და ავტოსადგომის ღირებულება (რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების 3.1.4 პუნქტით) - მშენებლობის დასრულებადე თავისუფალი გრაფიკით;

3.4.4. ამხანაგობაში დამატებით შეიტანონ კოეფიციენტის მოსაკრებლის თანხა, რაც აღემატება ხელშეკრულების 3.1.2 პუნქტით გათვალისწინებულ ზღვრულ ოდენობას (ასეთის არსებობისას), აგრეთვე დამატებით გადაიხადონ საცხოვრებელი სახლის ცენტრალური საინჟინრო კომუნიკაციებით უზრუნველსაყოფად საჭირო თანხა, რაც აღემატება ხელშეკრულების 3.1.5 პუნქტით გათვალისწინებულ ოდენობას (ასეთის არსებობისას).

3.5 იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ამხანაგობის მიზნის მისაღწევად, ამხანაგობის წევრების ზემოაღნიშნული შენატანების გარდა, საჭირო გახდება დამატებითი სახსრების მოძიება, თითოეული წევრი, მმართველი წევრებისა და თავდები წევრების ჩათვლით, ვალდებული იქნება განახორციელოს ასეთი დამატებითი ფულადი შენატანი, საცხოვრებელ სახლში მისაღები ბინის საერთო ფართის პროპორციულად, მხოლოდ იმ დათქმით, რომ ასეთი დამატებითი შესატანის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამხანაგობის წევრის მიერ განხორციელებული შენატანის 7%-ს (შვიდი პროცენტს). დამატებითი შესატანების მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ამხანაგობის წევრთა საერთო კრებაზე, ამხანაგობის წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 2/3-ის მხარდაჭერით. იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი შესატანის მოთხოვნილი ოდენობა აღემატება ამხანაგობის წევრის მიერ განხორციელებული შენატანის 7%-ს, მაშინ გადაწყვეტილება დამატებითი შენატანების განხორციელებაზე მიღებულ უნდა იქნას ამხანაგობის წევრების მიერ ერთხმად.

3.6. ამხანაგობის წევრები შეთანხმდნენ, რომ ფულადი შენატანები ამხანაგობაში უნდა განხორციელდეს აშშ დოლარში, გარდა 3.1.2 და 3.1.5 პუნქტებით განსაზღვრული შენატანებისა. 3.1.2 და 3.1.5 პუნქტებით გათვალისწინებული ფულადი შენატანები უნდა განხორციელდეს ლარში.

3.7. ამხანაგობის წევრების მიერ განხორციელებული შენატანები ხდება ამხანაგობის წევრების საერთო საკუთრება და მოხმარდება ამხანაგობის მიზნის განხორციელებას. საერთო საკუთრება იქნება აგრეთვე ამხანაგობის საქმიანობის ფარგლებში შეძენილი ქონება (მათ შორის მიწის ნაკვეთი) და უფლებები, ასევე ის ანაზღაურება, რომელსაც მიიღებს ამხანაგობა ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული ქონების დაღუპვის (განადგურების), დაზიანების ან ექსპროპრიაციის შემთხვევაში.

3.8. ამხანაგობის წევრები თანხმდებიან, რომ ამხანაგობის ფინანსური საქმიანობის სრულყოფილად და გამჭვირვალედ წარსამართავად ამხანაგობის სახელზე გაიხსნება ორი ანგარიში. ერთ (ძირითად) ანგარიშზე შეიტანება ამხანაგობის წევრთა მიერ საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად ძირითადი შენატანები, ხოლო მეორე (დამხმარე) ანგარიშზე შეიტანება ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის წარმოებისთვის საჭირო ფულადი შენატანები. საჭიროების შემთხვევაში, ამხანაგობის გამგეობა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სხვა დამატებითი ანგარიშ(ებ)ის გახსნის თაობაზე.

მუხლი 4.
ამხანაგობის წევრების წილები.
ერთობლივი საქმიანობის შედეგად მიღებული ქონების განაწილების წესი

4.1 ამხანაგობის წევრების წილები და თითოეულ წილზე მიმაგრებული/განპიროვნებული ბინის (ფართის) ოდენობა საცხოვრებელ სახლის ინდივიდუალურ საკუთრებაში გასანაწილებელ საერთო ფართში, განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დანართის შესაბამისად. გარდა დანართში მითითებული ფართებისა, ამხანაგობის თითოეულ წევრს გააჩნია არანაკლებ 1 (ერთი) ავტოსადგომის მისაღებად ლოტოტრონში მონაწილეობის უფლება.

4.2 ამხანაგობის თითოეული წევრის წილი ამხანაგობასა და ამხანაგობის ქონებაში (მათ შორის მიწის ნაკვეთში) განისაზღვრება ამ წევრის მიერ ინდივიდუალურ საკუთრებაში მისაღები ბინის საერთო ფართის შეფარდებით საცხოვრებელი სახლის ინდივიდუალურ საკუთრებაში გასანაწილებელ სრულ ფართთან. მიწის ნაკვეთი, რომელზედაც აშენდება საცხოვრებელი სახლი, აგრეთვე საერთო სარგებლობის ფართები (სადარბაზო, სახურავი) იქნება ამხანაგობის წევრების (სხვა ფართების) მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაში, ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართის პროპორციულად.

4.3 თუ ამ ხელშეკრულებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, ამხანაგობის ზიანი (ასეთის წარმოშობის შემთხვევაში) ამხანაგობის წევრებს შორის ნაწილდება მათი წილის პროპორციულად.

4.4 საცხოვრებელი სახლის საპროექტო დავალება უნდა გაიცეს და შესაბამისად, საპროექტო დოკუმენტაცია შედგეს იმგვარად, რომ გარანტირებულად უზრუნველყოფილი იყოს ამხანაგობის წევრების მიერ წინამდებარე შეთანხმებით დათქმული ფართების (<u>რომელშიც ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად ასევე შედის აივნების ფართიც</u>) საკუთრებაში მიღება. ნებისმიერი სხვა ფართი, რომელიც გათვალისწინებული იქნება საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაციით და რაც არ განაწილებულა ამხანაგობის წევრების ინდივიდუალურ საკუთრებაში, წარმოადგენს ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებას და მოხმარდება ამხანაგობის მიზნების ძიღწევას. ასეთი საერთო საკუთრების ფართების განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ამხანაგობის წევრთა საერთო კრება.

4.5 საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ფართების იდენტიფიცირებისას, დასაშვებია ამხანაგობის წევრების მიერ მისაღები ბინის საერთო ფართის კორექტირება (გაზრდის ან შემცირების მიმართულებით) <u>არაუმეტეს 10%-ისა</u>. ასეთი კორექტირების შემთხვევაში, შესაბამისად დაკორექტირდება ამხანაგობის წევრის მიერ როგორც უკვე განხორციელებული, ისე სამომავლოდ განსახორციელებელი შესატანების პროპორციებიც.

4.6 საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაციის დამტკიცების შემდეგ, ამხანაგობის გამგეობა უფლებულია დადგენილი წესით მიიღოს გადაწყვეტილება გასანაწილებელი ბინების (ფართების) იდენტიფიცირების შესახებ (განშლის აქტი), რომელშიც უნდა მიეთითოს თითოეული ამხანაგობის წევრის მიერ მისაღები ბინის საიდენტიფიკაციო მონაცემები: ბინის ნომერი, ბინის განთავსების სართული (საჭიროების შემთხვევაში - სადარბაზო) და ასაშენებელი ბინის საერთო ფართი. განშლის აქტი დგება ლოტოტრონის შედეგებისა და ამ ხელშეკრულების 4.8 და 4.11 პუნქტებით გათვალისწინებული შეთანხმებების საფუძველზე.

4.7 ამხანაგობის წევრების მიერ საცხოვრებელ სახლში მისაღები ბინების ადგილსამყოფელი (სართულიანობა, ბინის/ფართის ნომერი), აგრეთვე ავტოსადგომების ადგილსამყოფელი, განისაზღვრება ლოტოტრონის პრინციპით შერჩევის საფუძველზე, გარდა ამ მუხლის შემდეგი პუნქტის მიხედვით ერთხმად შეთანხმებული გამონაკლისებისა.

4.8 ლოტოტრონით შერჩევის 4.10 პუნქტით დადგენილი საერთო წესი არ გავრცელდება ამხანაგობის შემდეგ წევრებსა და მათ მიერ მისაღებ ფართებზე:

4.8.1. საცხოვრებელ სახლში გასანაწილებელი ბინების უპირატესი არჩევის უფლებით ისარგებლებენ მმართველი წევრები, მაგრამ არაუმეტეს თითოეულ მმართველ წევრზე 2 (ორი) ერთეული ბინისა;

4.8.2. საცხოვრებელი სახლის პირველ საცხოვრებელ სართულზე ბინის არჩევის მსურველი წევრი თავისუფლდება ლოტოტრონში მონაწილეობისაგან. ამასთან, თუ მსურველთა რაოდენობა აღემატება გასანაწილებელი ბინების რაოდენობას, საცხოვრებელის სახლის პირველი საცხოვრებელი სართულის ფართები გათამაშდება ლოტოტრონის წესით მხოლოდ შესაბამის მსურველ წევრებს შორის;

4.8.3. საცხოვრებელი სახლში პროექტით გათვალისწინებული არასაცხოვრებელი ფართი (ასეთის არსებობისას) არაუმეტეს 350 (სამასორმოცდაათი) კვ.მ.-ის ფარგლებში, ლოტოტრონის გარეშე მიეკუთვნება ამხანაგობის თავდებ წევრს გიორგი ხომეზურს.

4.8.4. ავტოსადგომების განაწილებისას ლოტოტრონიდან ავტოსადგომის ამოღების უპირატესი რიგითობა უპირობოდ ეკუთვნით ამხანაგობის თავდებ წევრებს, მაგრამ ჯამში არა უმეტეს 4 ავტოსადგომის ფარგლებში.

4.9 ამხანაგობის გამგეობა (გამგეობის თავმჯდომარე) ვალდებულია ასაშენებელი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღისა მოიწვიოს ამხანაგობის წევრთა საერთო კრება და უზრუნველყოს ლოტოტრონის ორგანიზება. ლოტოტრონი უნდა ჩატარდეს ამხანაგობის წევრებს შორის შეთანხმებული შემდეგი პროცედურის დაცვით: ერთი და იგივე და ერთმანეთთან მიახლოებული (არაუმეტეს 10%-იანი ცდომილებით) ფართები (მაგ. 80 კვ.მ., 100 კვ.მ., 120 კვ.მ. და ა.შ.) დაჯგუფდება ცალ-ცალკე კალათებში და გათამაშდება შესაბამისი რაოდენობის იმ წევრებს შორის, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ შესაბამისი ფართის ბინებზე. წევრებს შორის პირველ რიგში იმავე ლოტოტრონის პრინციპით გათამაშდება ლოტოტრონიდან ბინის ამოღების რიგითობა, ხოლო შემდეგ თითოეული წევრი გათამაშებული რიგითობის მიხედვით ამოიღებს ლოტოტრონში ჩაყრილ სასურველი საცხოვრებელი ბინების ფართებს).

4.10 ბინების განაწილების შესახებ ამხანაგობის წევრთა საერთო კრებას ესწრება და ლოტოტრონის შედეგების შესახებ ოქმს ადგენს ნოტარიუსი. ოქმს ხელს აწერს კრების (ამხანაგობის) თავმჯდომარე და ამოწმებს ნოტარიუსი.

4.11 ლოტოტრონის შედეგები სავალდებულოა ამხანაგობის წევრებისათვის. ამასთან, ამხანაგობის ორ ან მეტ წევრს უფლება აქვთ ურთიერთშეთანხმებით გაცვალონ ლოტოტრონით მიკუთვნებული ბინის ფართები, რის თაობაზეც შესაბამისი აღნიშვნა გაკეთდება კრების ოქმში. კრების ოქმის შედგენის შემდეგ ლოტოტრონით მიკუთვნებული ბინების ცვლილების შესახებ ამხანაგობის წევრთა შეთანხმება (ასეთის არსებობისას) უნდა წარედგინოს ამხაგობის გამგეობას.

4.12 ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია ფართების განაწილების შესახებ სანოტარო აქტი და სამშენებლო დოკუმენტაცია გონივრულ ვადაში წარუდგინოს საჯარო რეესტრს რეგისტრაციის მიზნით. საჯარო რეესტრში უნდა აღინიშნოს თითოეული ბინის მომავალი მესაკუთრე.

4.13 ამხანაგობის წევრზე მასზე გადასაცემ ფართზე ინდივიდუალური საკუთრების უფლება დარეგისტრირდება მას შემდეგ, რაც ამ წევრის მიერ ამხანაგობის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები შესრულდება სრულად. გადაცემულ ბინაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით, ამხანაგობის წევრი ვალდებულია საჯარო რეესტრში წარადგინოს ამხანაგობის გამგეობის დადგენილება (ოქმი) მის მიერ ამხანაგობის წინაშე ვალდებულებების სრულად შესრულებისა და ბინაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ, რომლის საფუძველზეც საჯარო რეესტრი მოახდენს ბინაზე (მშენებარესა თუ დასრულებულზე) ამხანაგობის წევრის საკუთრების უფლების რეგისტრაციას. ამასთან, ამხანაგობის წევრს, რომელსაც ამხანაგობის ვადის ამოწურვამდე, გადაეცემა ბინაზე საკუთრების უფლება, ეკრძალება ბინის გასხვისება ამხანაგობის ვადის სრულად ამოწურვამდე, ამხანაგობის გამგეობის თანხმობის გარეშე.

4.14 თავდები წევრების მიერ არაფულადი შესატანის ვალდებულება ამხანაგობის წინაშე ავტომატურად შესრულებულად ჩაითვლება მენარდის მიერ ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მომენტიდან.
4.15 მმართველი წევრების მიერ არაფულადი შესატანის ვალდებულება ამხანაგობის წინაშე შესრულებულად ჩაითვლება საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ, ან მანამდე, ამხანაგობის წევრთა კრების შესაბამისი გადაწყვეტილებით.
4.16 იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგობის წევრზე ბინის საკუთრებაში გადაცემა განხორციელდება მანამ სანამ ამ წევრს სრულად არ შეუსრულებია თავისი ვალდებულებები ამხანაგობის წინაშე, ბინაზე საკუთრების უფლებასთან ერთად რეესტრში დარეგისტრირდება ამხანაგობის წევრის საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულება ამხანაგობის სასარგებლოდ, რაც შესაბამისად აღინიშნება გამგეობის გადაწყვეტილების ოქმში.

მუხლი 5
ამხანაგობის მმართველი ორგანოები

5.1. ამხანაგობის მმართველობის ორგანოებია: ამხანაგობის წევრთა საერთო კრება, ამხანაგობის გამგეობა და ამხანაგობის თავმჯდომარე.

მუხლი 6
ამხანაგობის წევრთა საერთო კრება

6.1 ამხანაგობის წევრთა საერთო კრება (შემდგომ ტექსტში „კრება“) მოიწვევა საჭიროებისამებრ, ამხანაგობის გამგეობის ან ამხანაგობის/გამგეობის თავმჯდომარის მიერ, საკუთარი ინიციატივით და არანაკლებ ამხანაგობის 10 წევრის მოთხოვნით. კრების მომწვევი ვალდებულია კრების ჩატარების შესახებ ერთი კვირით ადრე მაინც შეატყობინოს ამხანაგობის წევრებს წერილობით. შეტყობინებად ჩაითვლება სოციალურ ქსელ Facebook-ში შექმნილ ამხანაგობის ჯგუფში სახელწოდებით „ჩვენი სახლი ორთაჭალაში“-ში შეტყობინების გამოქვეყნება ან ელექტრონული ფოსტის გაგზავნა ამხანაგობის წევრების წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართებზე. ელექტრონული ფოსტის ცვლილების თაობაზე ამხანაგობის წევრი ვალდებულია წერილობით აცნობოს ამხანაგობის თავმჯდომარეს და გამგეობას). შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს კრების ჩატარების ადგილი, ზუსტი დრო და განსახილველი დღის წესრიგი. კრების მოწვევის ორგანიზებას ახორციელებს და მის ჩატარებას უზრუნველყოფს ამხანაგობის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას გამგეობა. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია კრების მოწვევის ერთკვირიანი ვადა არ იქნეს დაცული. გადაუდებელი აუცილებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება კრების მოწვევის ინიციატორს.
6.2 ამხანაგობის წევრისთვის კრებაზე დასწრება სავალდებულოა. ამასთან, წევრი უფლებამოსილია კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე საკუთარი პოზიცია წერილობით წარუდგინოს ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარეს (მხარი დაუჭიროს ან წინააღმდეგ მისცეს ხმა განსახილველ საკითხს), რაც უთანაბრდება კრებაზე დასწრებას.
6.3 კრებას უძღვება ამხანაგობის თავმჯდომარე. ამხანაგობის თავმჯდომარის არყოფნისას (დაავადება, ქმედუუნარობის დადგომა ან სხვა) კრებას უძღვება გამგეობის მიერ საკუთარი შემადგენლობიდან არჩეული სხვა წევრი.
6.4 კრებაზე ამხანაგობის წევრების სრული შემადგენლობის ხმათა 100%-ის თანხმობაა საჭირო შემდეგი საკითხების გადასაწყვეტად:

6.4.1 ამხანაგობის საერთო მიზნის მისაღწევად უძრავი ქონების შეძენაზე გადაწყვეტილების მიღება;

6.4.2 ამხანაგობის მიერ სესხის აღება ან ამხანაგობის ქონებით ვალდებულების უზრუნველყოფა;

6.4.3 ამხანაგობის წევრის მიერ ამხანაგობაში წილის განკარგვაზე თანხმობის გაცემა;

6.4.4 ამხანაგობის სახელით გარიგების დასადებად, რომელიც დაკავშირებულია ამხანაგობის საერთო ქონების გასხვისებასთან, ან იპოთეკით დატვირთვასთან. ამასთან, გამგეობაზე ერთხმად დელეგირებულია გადაწყვეტილების მიღება საცხოვრებელი სახლისათვის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის ტექნიკური პირობის მისაღებად და ტრანსფორმატორის განსათავსებლად სს „თელასი“-სათვის მიწის ნაკვეთის ნაწილის (არაუმეტეს 30 კვ.მ.) გადაცემაზე;

6.4.5 ამხანაგობის მიმართ სასამართლოში განსახილველი სარჩელის ცნობა;

6.4.6 ამხანაგობის სადამფუძნებლო დოკუმენტში ცვლილებების და დამატებების განხორციელება;

6.4.7 ამხანაგობაში წევრად მიღება ან ამხანაგობიდან წევრის გასვლაზე თანხმობის გაცემა;

6.4.8 ამხანაგობაში დამატებითი შენატანების ოდენობის განსაზღვრა, როდესაც მოთხოვნილი დამატებითი შენატანების ოდენობა აღემატება ამხანაგობის წევრის მიერ განსახორციელებელი ძირითადი შენატანის 7%-ს.

6.5 ამხანაგობის წევრის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ამხანაგობის წევრების სრული შემადგენლობის ხმათა სულ მცირე 3/4-ის თანხმობით (საკითხის განხილვისას გასარიცხი წევრი კენჭისყრაში არ მონაწილეობს და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო 3/4 იანგარიშება მისი ხმის გათვალისწინების გარეშე). კრებაზე ამხანაგობის წევრების სრული შემადგენლობის ხმათა სულ მცირე 4/5-ის თანხმობაა საჭირო ერთობლივი საქმიანობის ვადამდე შეწყვეტის საკითხის გადასაწყვეტად.

6.6 3.5, 6.4 და 6.5 მუხლებით გათვალისწინებული საკითხების გარდა, სხვა დანარჩენ საკითხებზე კრება გადაწყვეტილებას იღებს წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი საერთო წესის შესაბამისად, კერძოდ:

6.6.1 ამხანაგობის ძირითადი ორგანიზაციულ–ფინანსური საკითხების გადაწყვეტა;

6.6.2 ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევა/გადარჩევა;

6.6.3 ამხანაგობის გამგეობის წევრთა არჩევა/გადარჩევა;

6.6.4 საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით სამშენებლო ორგანიზაციასთან/ფიზიკურ პირთან (მენარდესთან) ხელშეკრულების დადებასა ან ხელშეკრულების შეწყვეტაზე გადაწყვეტილების მიღება (ამასთან, მოცემულ საკითხზე ინტერესთა კონფლიქტის გამო კენჭისყრაში არ მონაწილეობენ თავდები წევრები და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმების რაოდენობა იანგარიშება ჯამურ ხმათა რაოდენობაში თავდები წევრების ხმების გათვალისწინების გარეშე);

6.6.5 ყველა სხვა საკითხზე გადაწყვეტილების მიღება, რომლის დელეგირებაც ამ ხელშეკრულების მიხედვით არ არის განხორციელებული გამგეობაზე ან ამხანაგობის თავმჯდომარეზე.

6.7 კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ამხანაგობის წევრთა არანაკლებ 2/3. გადაწყვეტილებაშეიძლება ამხანაგობის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

6.8 ამხანაგობის თითოეულ წევრს კრებაზე აქვს ერთი ხმა, დამოუკიდებლად ამხანაგობაში მისი წილის ოდენობისა.

6.9 ხმის მიცემის პროცესში ამხანაგობის თითოეულმა წევრმა ნების გამოვლენა უნდა მოახდინოს მხოლოდ ორი ფორმით: „ეთანხმება“, ან „არ ეთანხმება“ განსახილველ საკითხს. განსახილველ საკითხზე ამხანაგობის წევრს კენჭისყრისას „თავის შეკავების“ უფლება არ გააჩნია.

6.10 თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი დამსწრე წევრთა არასაკმარისი რაოდენობის გამო, მომდევნო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია თუ კი მას ესწრება ამხანაგობის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა და მოიწვევა პირველი კრების ჩატარებიდან 4 სამუშაო დღეში.

6.11 კრებაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კრების თავმჯდომარე.

6.12 კრების გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად ამხანაგობის წევრებისთვის, მათ შორის მათთვისაც ვინც წინააღმდეგ მისცა ხმა ან კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ნებისმიერი მიზეზით.

მუხლი 7
ამხანაგობის გამგეობა

7.1 ამხანაგობის გამგეობა (შემდგომ ტექსტში „გამგეობა“) არის ამხანაგობის მმართველობის ორგანო. გამგეობა ანგარიშვალდებულია კრების წინაშე.

7.2 გამგეობის შემადგენლობა განისაზღვრება 7 (შვიდი) წევრით.

7.3. გამგეობის წევრებად არჩეული იქნენ:

სახელი, გვარი	პირადი ნომერი:
[illegible] მაჩაიძე	35001015126
[illegible] ჯინჭარაძე	62007013251
[illegible] გაგლოევი	01019008601
[illegible] ბაბუნაშვილი	01030025694
[illegible] ჭელიძე	01030012249
[illegible] თოდაძე	61001029162
[illegible] რაზმიაშვილი	43001006137

7.4 გამგეობის უფლებამოსილებას მიეკუთვნება:

7.4.1 ამხანაგობის საერთო სარგებლობაში არსებული ფართების სარგებლობისა და ფლობის შესაბამისი წესების დადგენა;

7.4.2 სამშენებლო დოკუმენტაციის შეთანხმების, მასში ცვლილებების შეტანის, მშენებლობის ზედამხედველობაზე გადაწყვეტილებების და ექსპლუატაციაში მიღების საკითხებზე თანხმობის [illegible];

7.4.3 ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ ამხანაგობის სახელით გარიგების დადება ან/და ამხანაგობის ფულადი სახსრების განკარგვა (გადარიცხვა), როდესაც დასადები გარიგების ღირებულება ან/და განსაკარგავი ფულადი სახსრების ოდენობა აღემატება 10 000 (ათი ათასი) ლარს;

7.4.4 სამშენებლო კომპანიასთან/ფიზიკურ პირებთან (მენარდე) ამხანაგობის საერთო მიზნების მისაღწევად დადებული ხელშეკრულებ(ებ)ის ფარგლებში, მათ მიერ შესრულებული სამუშაოების შეფასებასა და მიღება–ჩაბარების დოკუმენტაციის გაფორმებაზე გადაწყვეტილების მიღება.

7.4.5 ამხანაგობის საერთო მიზნებიდან გამომდინარე მშენებლობისათვის საჭირო შენატანების გადახდის ვადების განსაზღვრა;

7.4.6 ამხანაგობის წევრების ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების შესრულებაზე კონტროლი. ამხანაგობის წევრების მიერ განხორციელებული შენატანების აღრიცხვა;

7.4.7 ამხანაგობის წევრის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, შესრულებისათვის დამატებითი ვადის დადგენა.

7.4.8 ამხანაგობის სახელით სარჩელის აღძვრა;

7.4.9 ამხანაგობის წევრთა შორის გასანაწილებელი ბინების (ფართების) იდენტიფიკაცია და განსაზღვრა; განშლის ოქმის შედგენა და დამტკიცება, რომელიც შესაბამისობაში იქნება ლოტოტრონის შედეგებთან და ხელშეკრულების 4.8 და 4.11 პუნქტებით გათვალისწინებულ შეთანხმებებთან.

7.4.10 გადაწყვეტილებების მიღება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

7.5 გამგეობის სხდომა მოიწვევა საჭიროებისამებრ, ამხანაგობის 5 წევრის, გამგეობის წევრის ან ამხანაგობის/გამგეობის თავმჯდომარის მოთხოვნით. კრების მომწვევი ვალდებულია კრების ჩატარების შესახებ 3 (სამი) დღით ადრე მაინც შეატყობინოს გამგეობის წევრებს წერილობით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს სხდომის ჩატარების ადგილი, დრო და განსახილველი დღის წესრიგი. გამგეობის სხდომის მოწვევის ორგანიზებას ახორციელებს და მის ჩატარებას უზრუნველყოფს ამხანაგობის/გამგეობის თავმჯდომარე. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია სამდღიანი მოწვევის ვადა არ იქნეს დაცული. გადაუდებელი აუცილებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება სხდომის მოწვევის ინიციატორს. შეტყობინება გამგეობის სხდომის მოწვევასთან დაკავშირებით შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ელექტრონული საშუალებებით, ასევე მატერიალური წერილობითი ფორმით.

7.6 გამგეობა უფლებამოსილია თუ მას ესწრება 5 (ხუთი) წევრი მაინც. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე წევრთა უმრავლესობის თანხმობა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია ამხანაგობის/გამგეობის თავმჯდომარის ხმა. გამგეობის სხდომაზე ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით. ხმის მიცემის პროცესში გამგეობის თითოეულმა წევრმა უნდა გამოავლენა უნდა მოახდინოს მხოლოდ ორი ფორმით: „ეთანხმება“ ან „არ ეთანხმება“ განსახილველ საკითხს. განსახილველ საკითხზე გამგეობის წევრს კენჭისყრისას „თავის შეკავების“ უფლება არ გააჩნია.

7.7 დასაშვებია გამგეობის მიერ გადაწყვეტილების მიღება სხდომის გამართვის გარეშე, თუ გამგეობის ყველა წევრი წერილობით ეთანხმება განსახილველ საკითხს. დასაშვებია გამგეობის სხდომაში მონაწილეობა და ხმის მიცემა ტელე ან სატელეფონო კონფერენციის საშუალებების გამოყენებითაც.

7.8 გამგეობის სხდომის და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე და წევრები, არანაკლებ გადაწყვეტილების მიმღები უმრავლესობისა.

7.9 გამგეობა მოქმედებს ამხანაგობის ინტერესებიდან გამომდინარე და იგი პასუხისმგებელია მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

მუხლი 8
ამხანაგობის თავმჯდომარე

8.1 ამხანაგობის აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს ამხანაგობის თავმჯდომარე. ამხანაგობის თავმჯდომარე იმავდროულად არის გამგეობის თავმჯდომარეც. ამხანაგობის წევრები შეთანხმდნენ და ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ამხანაგობის წევრი ნინო რაზმიაშვილი (პ/ნ 43001006137, დაბ. 30.01.1984წ. მისამართი: ქარელი, ს. რუისი 31–ე, ქ. N 4).

8.2 ამხანაგობის თავმჯდომარე წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად წარმოადგენს ამხანაგობას მოქმედი კანონმდებლობით დასაშვებ ნებისმიერ ურთიერთობაში. მათ შორის, ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია ერთპიროვნულად წარმოადგინოს ამხანაგობა მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებში, სასამართლოსა და საბანკო ურთიერთობებში, გახსნას ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში და განკარგოს ანგარიშებზე რიცხული თანხები, ხელი მოაწეროს ერთობლივ საქმიანობასთან (ამხანაგობასთან) დაკავშირებულ ყველა საფინანსო დოკუმენტს, მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში ამხანაგობის სახელით დადოს გარიგებები, წარმოადგინოს ამხანაგობა სასამართლოსა და ნებისმიერ ადმინისტრაციულ წარმოებაში, განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედებები ან/და მათი შესრულება მიანდოს სათანადო კვალიფიკაციით აღჭურვილ პირს (ადვოკატს, წარმომადგენელს), არ დაუშვას ამხანაგობის ბერთო საკუთრებასა და სარგებლობაში არსებული ქონების და ფულადი სახსრების ხელყოფა მესამე პირების მიერ, განახორციელოს სხვა უფლებამოსილებები, რაც მას მინიჭებული აქვს ამ ხელშეკრულებით და ემსახურება ერთობლივი საქმიანობის მიზნებს. იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც საჭიროებენ კრების ან გამგეობის გადაწყვეტილებას/თანხმობას, ამხანაგობის თავმჯდომარე წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს მხოლოდ ასეთი გადაწყვეტილებების და თანხმობების არსებობის პირობებში. სხვა დანარჩენ საკითხებზე ამხანაგობის თავმჯდომარე ამხანაგობას წარმოადგენს ერთპიროვნული გადაწყვეტილებების ფარგლებში. ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია განახორციელოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა ქმედება, რაც ამხანაგობის ინტერესების დაცვისათვის არის საჭირო. ამხანაგობის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია გამგეობის და კრების წინაშე.

8.3 ამხანაგობის თავმჯდომარე გამგეობის თანხმობით ახორციელებს ამხანაგობის წევრთა კუთვნილი ნივთების, (კომერციული, საოფისე ფართების – ასეთის არსებობის შემთხვევაში), ავტოპარკინგების ფართებზე ნუმერაციის მინიჭების, ბინების განაწილების, განშლის აქტების შედგენის, მასში ცვლილებების შეტანის, საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ღონისძიებების გატარების ტექნიკურ უზრუნველყოფას.

8.4 ამხანაგობის საქმიანობის წარმართვის უზრუნველყოფის მიზნით, ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება აქვს ამხანაგობის წევრ(ებ)ზე ან/და მესამე პირებზე გასცეს დავალებულებები/მინდობილობები.

8.5 ამხანაგობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული საფინანსო დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოებისა და ამხანაგობის საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების ჯეროვან შესრულებაზე. გამგეობა უფლებამოსილია საჭიროებისამებრ მიიღოს გადაწყვეტილება ამხანაგობის ბუღალტერიისა და ფინანსური ანგარიშგების წარმოების მიზნით სპეციალისტის (ბუღალტერი, აუდიტი) დაქირავების შესახებ.

8.6 ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით გაუძღვეს ამხანაგობის საქმიანობას. იგი პასუხს აგებს ამხანაგობისთვის ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანისთვის.

8.7 ამხანაგობის სახელით წერილობითი გარიგების დადებისას ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია მიუთითოს, რომ იგი მოქმედებს ამხანაგობის სახელით.

8.8 ამხანაგობის თავჯდომარე პასუხს აგებს მისი მოქმედებების კეთილსინდისიერებასა და კვალიფიციურობაზე. მისი მხრიდან მოვალეობათა შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება იწვევს თავმჯდომარის გადაყენებას და შესაძლო ზიანის მოთხოვნის უფლების წარმოშობას.

8.9 ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება აქვს უარი თქვას ამხანაგობის ხელმძღვანელობაზე, რის შესახებ მან წერილობით უნდა აცნობოს გამგეობას.

8.10 ამხანაგობის თავმჯდომარის არყოფნის პირობებში მის უფლებამოსილებას ასრულებს მისგან დროებით მინდობილი პირი გამგეობის წევრთა შემადგენლობიდან.

8.11 ამხანაგობის თავმჯდომარის გადადგომის/გადარჩევის ან მისი უფლებამოსილებების სხვაგვარი შეწყვეტის შემთხვევაში, გამგეობა ვალდებულია ამხანაგობის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში მოიწვიოს კრება ამხანაგობის წევრების შემადგენლობიდან ახალი თავმჯდომარის არჩევის მიზნით.

მუხლი 9
ამხანაგობის წევრთა უფლებები და მოვალეობები

9.1 ამხანაგობის წევრები ვალდებული არიან შეასრულონ პროექტით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. არ გაახმაურონ ამხანაგობის საქმიანობის შედეგად მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

9.2 ამხანაგობის თითოეული წევრი ვალდებულია ამხანაგობის და სხვა წევრების მიმართ მოვალეობები შეასრულოს კეთილსინდისიერად და დროულად.

9.3 თუ ამხანაგობის რომელიმე წევრი ხელს შეუშლის ამხანაგობას საქმიანობაში იგი ვალდებული იქნება მთლიანად აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

9.4 9.3 პუნქტში მითითებული ხელშეშლა შესაძლოა გამოიხატებოდეს შემდეგში:

- შესატანი თანხების შეუტანლობა;
- ისეთი ქმედებების განხორციელება, რომლის უფლებამოსილებაც ერთპიროვნულად მას არ გააჩნია;
- ისეთი უმოქმედობანი, რა დროსაც მოქმედების განხორციელების ვალდებულება გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად;
- კრებებზე სისტემატიური გამოუცხადებლობა;
- განსახილველ საკითხზე კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმა;
- ამხანაგობიდან გასვლა ისეთ დროს, როდესაც ეს საზიანოა ამხანაგობისათვის;
- მშენებლობის პროცესისთვის ხელის შეშლა, როგორც ფიზიკური ასევე სამართლებრივი ბერკეტების გამოყენებით;
- მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ხელშეშლის (მათ შორის უფლების ბოროტად გამოყენების) შემთხვევები.

9.5 თითოეულ წევრს უფლება აქვს სხვა წევრს მოსთხოვოს ამხანაგობის წინაშე ან/და ამხანაგობის საქმიანობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

9.6 წინამდებარე ამხანაგობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ფაქტით ამხანაგობის თითოეული და ყველა წევრი ადასტურებს, რომ ეთანხმება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და მას მიიჩნევს სავალდებულოდ.

9.7 ამხანაგობის წევრის მიერ ამ ხელშეკრულების **3.1, 3.2, 3.4, 3.5** და **3.6** მუხლების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებები წარმოადგენს ყოველი ამ წევრის მიერ აღიარებულ და დადასტურებულ ფულად ვალდებულებას ამხანაგობის წინაშე, რომლის შეუსრულებლობაც გამოიწვევს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგებს, ამხანაგობის მხრიდან ვალდებულების დამრღვევი წევრის გარიცხვის, მის მიმართ ვალის იძულებითი გადახდევინების მოთხოვნის (მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამარტივებული წარმოების გზით) და მის წილზე იძულებითი აღსრულების მიქცევის უფლების ჩათვლით.

9.8 თუ ხელშეკრულებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, ამხანაგობის თითოეული წევრის პასუხისმგებლობა ამხანაგობასთან ან/და ერთმანეთთან ურთიერთობაში განისაზღვრება თავიანთი კუთვნილი წილების შესაბამისად.

9.9 ამხანაგობის თავდებ წევრს გადასაცემ ფართზე საკუთრების უფლება წარმოეშობა მხოლოდ მის მიერ ამხანაგობაში კუთვნილი შესატანის (როგორც ფულადი ისე არაფულადი სახით) სრულყოფილად განხორციელების შემდეგ. მხოლოდ მის მიერ განსახორციელებელი ქმედებების სრულყოფილად შესრულება წარმოშობს მასზე ამხანაგობის მიერ ფართის გადაცემის ვალდებულებას. მის მიერ ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, რასაც ადასტურებს ამხანაგობის გამგეობა, მასზე გადასაცემი ფართი რჩება ამხანაგობის საკუთრებად, თავდები წევრის სამომავლო საკუთრების უფლების რეგისტრაციის გათვალისწინებით.

9.10 ამხანაგობის თავდები წევრი ამხანაგობაში კუთვნილი წილის ფარგლებში სოლიდარულად არის პასუხისმგებელი მის მიერ შერჩეული მენარდის მხრიდან ამხანაგობის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. თავდები წევრი პასუხისმგებელია მენარდის მატერიალურ-ტექნიკურ და ფინანსურ შესაძლებლობებზე, მშენებლობების წარმოების გამოცდილებასა და უნარზე შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. მენარდის მიერ ამხანაგობასთან დადებული ნარდობის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, თავდებ წევრს შეუწყდება ამხანაგობის წევრობა და მასზე გადასაცემი ფართი დარჩება ამხანაგობის საერთო საკუთრებაში, რომელსაც სამომავლოდ ამხანაგობა განკარგავს წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად, მისი შეხედულებისამებრ, ამხანაგობის ინტერესების გათვალისწინებით.

9.11 ნარდობის ხელშეკრულების პირობები აუცილებლად უნდა შეთანხმდეს ამხანაგობის თავდებ წევრებთან. თავდები წევრების მიერ ნარდობის ხელშეკრულების პირობების მოწონების შემთხვევაში მათი მხრიდან სამომავლოდ პრეტენზიები არ დაიშვება.

9.12 თავდები წევრის მიერ ამხანაგობის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო ამხანაგობიდან გარიცხვის შემთხვევაში მის მიერ გაწეული სამუშაო არ ანაზღაურდება.

9.13 დაუშვებელია საცხოვრებელი სახლის ან/და საცხოვრებელ სახლში ამხანაგობის წევრის ბინის/ფართის ნებისმიერი ცვლილება ამხანაგობის სხვა წევრების წერილობითი ნებართვის გარეშე. ამ მუხლის მიზნებისათვის „ცვლილების" ქვეშ მხარეები გულისხმობენ ნებისმიერ გადაკეთებას, შეცვლას, მიშენებას, დაშენებას, საცხოვრებელი სახლის სხვა ისეთ ცვლილებას, რომელიც ზეგავლენას ახდენს მის ფასადზე და/ან ინტერიერზე. ამხანაგობის წევრის მიერ ამ მუხლის დარღვევის შემთხვევაში, იგი ვალდებულია საკუთარი ხარჯით აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა.

ამხანაგობის ვადის დასრულების შემდეგ საცხოვრებელი სახლის ცვლილებაზე თანხმობას გასცემს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით.

მუხლი 10
ამხანაგობიდან წევრის გასვლის/გარიცხვის წესი. ამხანაგობის წევრის წილზე იძულებითი აღსრულების მიქცევის წესი

10.1 ამხანაგობის თითოეულ წევრს უფლება აქვს გავიდეს ამხანაგობიდან. ამასთან, ამხანაგობიდან გასვლა არ დაიშვება ისეთ დროს, ისეთ ვითარებაში და იმდაგვარად, როდესაც იგი საზიანო იქნება ამხანაგობისათვის. ამხანაგობის წევრები ცალსახად აღიარებენ, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ყ“ ქვეპუნქტის და 168-ე 1-ლი ნაწილის „ღ“ და „ყ“ ქვეპუნქტების დებულებების გათვალისწინებით, ამხანგობის ქონების განაწილებამდე ამხანაგობის წევრის ამხანაგობიდან გასვლა ან/და წილის გასხვისება ცალსახად საზიანო იქნება ამხანაგობისათვის. აღნიშნულ შემთხვევაში, ამხანაგობიდან გასული წევრი ვალდებულია აანაზღაუროს მისი გასვლით გამოწვეული ამხანაგობის და მისი წევრების საგადასახადო ვალდებულებები.

10.2 ამხანაგობიდან გასვლის მსურველმა წევრმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ამხანაგობის თავმჯდომარეს, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას წევრის ამხანაგობიდან გასვლის შესახებ იღებს კრება. ამგვარი გადაწყვეტილება წევრის ამხანაგობიდან გასვლის შესახებ მიღებული უნდა იქნეს განცხადების წარდგენიდან 45 კალენდარული დღის ვადაში.

10.3 თუ კრება სხვაგვარად არ გადაწყვეტს, ამხანაგობიდან წევრის გასვლა, წევრის გარდაცვალება ან წევრის მიმართ საგაკოტრებო (გადახდისუუნარობის) საქმის წარმოების გახსნა არ იწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას.

10.3 ამხანაგობის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში მის ადგილს იკავებს მისი მემკვიდრე.

10.4 ამხანაგობის წევრი შესაძლოა გარიცხული იქნეს ამხანაგობის წევრობიდან, თუ იგი არ ასრულებს, ან არაჯეროვნად ასრულებს მის ვალდებულებას, აგრეთვე თავისი მოქმედებით (უმოქმედობით) ხელს უშლის ამხანაგობას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნის მიღწევაში, აგრეთვე ისეთ შემთხვევებში, როდესაც იგი არ ემორჩილება და სისტემატურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებას, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი ადგებათ ამხანაგობის დანარჩენ წევრებს.

10.5 ამხანაგობიდან წევრის გარიცხვის შემთხვევაში, მას ჩამოერთმევა შესაბამისი წილი, რის საფუძველზეც ცვლილება წარედგინება საჯარო რეესტრს რეგისტრაციისთვის.

10.6 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ამხანაგობის წევრის გარიცხვის შემთხვევაში, მის მიერ ამხანაგობაში განხორციელებული შენატანი (გადახდილი თანხა) უკან დაუბრუნდება იმ ხარჯების გამოკლებით, რაც აუცილებელია გასვლის რეგისტრაციისთვის. ამხანაგობა უფლებამოსილია დააყოვნოს შესრულებული შენატანის (გადახდილი თანხის) უკან დაბრუნება, გასვლის შედეგად გამონთავისუფლებული ფართის შემდგომ გასხვისებამდე და ამხანაგობის წევრებს შორის ქონების განაწილების მომენტის დადგომამდე.

10.7 10.4 და 10.5 პუნქტებით განსაზღვრული ამხანაგობის უფლებების შეზღუდვის გარეშე, ამხანაგობა უფლებამოსილია მოსთხოვოს წევრს ამხანაგობის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება (შენატანების განხორციელება), რა მიზნითაც მიაქციოს იძულებითი აღსრულება ამხანაგობაში წევრის კუთვნილ წილზე. ასეთ შემთხვევაში, ამხანაგობა უფლებამოსილია მოითხოვოს ფულადი შესატანის დავალიანების გადახდევინება და ამხანაგობის წევრის წილის რეალიზაცია (ა) გამარტივებული წარმოების გზით, გადახდის ბრძანების საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად; ან (ბ) სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ამასთან, წევრები თანხმდებიან, რომ ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ამხანაგობასა და

ამხანაგობის წევრს შორის დავაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^1 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 11
ერთობლივი საქმიანობის ვადა და ლიკვიდაცია

11.1 ამხანაგობა შექმნილია სულ მცირე საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულებისა და ამხანაგობის წევრებს შორის ამხანაგობის ქონების განაწილების ვადით.

11.2 წინამდებარე ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეწყდება მას შემდეგ, როდესაც: ა) დასრულდება მშენებლობა; ბ) შენობა მიღებული იქნება ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით; გ) ყველა წევრი რეგისტრირებული იქნება, როგორც შესაბამისი უძრავი ქონების მესაკუთრე საჯარო რეესტრში და დ) სრულად იქნება შესრულებული წევრების ფინანსური და სხვა ვალდებულებები ამხანაგობის მიმართ.

11.3 ამხანაგობის საქმიანობა ვადაზე ადრე წყდება:

ა) მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

ბ) ამხანაგობის შემადგენლობაში ორზე ნაკლები წევრის დარჩენის შემთხვევაში;

გ) სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ ისეთი საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღების შემთხვევაში, რომელიც შეუძლებელს გახდის ამხანაგობის მიზნის მიღწევას.

11.4 ერთობლივი საქმიანობის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, ამხანაგობის ქონება განაწილდება ამხანაგობის წევრებს შორის ფაქტობრივად განხორციელებული შენატანების (რაშიც ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად ცალსახად მოიაზრება წევრის მიერ განხორციელებული როგორც ფულადი, ისე არაფულადი შენატანი) პროპორციულად.

მუხლი 12
ამხანაგობის დოკუმენტაციის აღრიცხვა

12.1 ამხანაგობას აქვს ჟურნალი, რომელშიც სავალდებულო წესით აღირიცხება შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ამხანაგობის დაფუძნების აქტი;

ბ) ამხანაგობის აქტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება;

გ) საცხოვრებელი სახლის ბინების განაწილების აქტი;

დ) საცხოვრებელი სახლის ბინების განაწილების აქტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება;

ე) ამხანაგობის მიერ დადებული ნებისმიერი ხელშეკრულება და ცვლილებები ამ ხელშეკრულებაში;

ვ) გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები/თანხმობები.

ზ) კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები/თანხმობები.

12.2 ჟურნალი შესაძლებელია იწარმოებოდეს ქაღალდზე ან/და ელექტრონულად.

12.3 ჟურნალის წარმოების ვალდებულება ეკისრება ამხანაგობის მდივანს. ამხანაგობის მდივანი ირჩევა გამგეობის წევრთა შემადგენლობიდან, კრების მიერ, ამ ხელშეკრულებით დადგენილი საერთო წესის შესაბამისად.

12.4 ამხანაგობის ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია მოითხოვოს ჟურნალის ჩანაწერების გაცნობა და ასლების მიღება. ანალოგიური უფლება აქვს ნოტარიუსს ან საჯარო რეესტრს რომელსაც ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებით სანოტარო მოქმედების შესრულებისთვის ან უფლების

რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად სჭირდება ინფორმაცია ამხანაგობის მდგომარეობის შესახებ.

12.5 ამხანაგობის წევრები თანხმდებიან, რომ ამხანაგობის ბინების განაწილების აქტები, აგრეთვე ამ აქტებში შეტანილი ცვლილებები სავალდებულო წესით უნდა წარედგინოს საჯარო რეესტრს.

12.6 ამხანაგობის წევრები თანხმდებიან, რომ 12.5 პუნქტში მითითებული აქტი მესამე პირების მიმართ იურიდიული ძალის მქონეა მხოლოდ საჯარო რეესტრში წარდგენის (რეგისტრაციის) შემდგომ.

12.7 ჟურნალის წარმოებისას მის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ამხანაგობის მდივანი.

12.8 ამხანაგობის მდივნად არჩეულ იქნა ამხანაგობის წევრი სოსო მაჩაიძე (პ/ნ 35001015126 , დაბ. 21.12.1979წ. რეგისტრირებული მისამართზე: ქ. რუსთავი, XXI მ/რ, კორპ. 12, ბ. 11).

მუხლი 13
ფორს–მაჟორი

13.1 ამ ხელშეკრულების ხელმომწერი მხარეები თავისუფლდებიან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისაგან, თუ ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, რომელთა გადაწყვეტა მათ ძალებს აღემატება.

13.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორსმაჟორულ გარემოებებს განეკუთვნებიან:

- სტიქიური უბედურებები: მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, დამანგრეველი გრიგალი და სხვ.
- სახელმწიფო ცენტრალური ან/და ადგილობრივი ორგანოების მიერ ისეთი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ან ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის მიღება, რომელიც შეუძლებელს გახდის ვალდებულების შესრულებას.
- სახელმწიფოს მიერ საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე სათანადო პირობების არსებობისას საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება.

13.3 ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია წერილობით (ელექტრონული ფორმით ან მატერიალური ფორმით) აცნობოს ამხანაგობის ყველა წევრს ფორს–მაჟორული ვითარების დადგომისა და ამხანაგობის შემდგომი მოქმედების შესახებ.

მუხლი 14
დავების გადაწყვეტა

14.1 ამხანაგობის წევრებს შორის ყველა სადავო საკითხი წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით;

14.2 ამ ხელშეკრულების მოქმედებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადაო საკითხები გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მიერ.

მუხლი 15
დასკვნითი დებულებები

15.1 წინამდებარე აქტი ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან.

15.2 ამ ხელშეკრულებაში ცვლილებები შეიტანება წერილობით და ძალაში შედის სანოტარო წესით დამოწმებისთანავე, ამასთან, თუ ცვლილება თავისი შინაარსის გამო ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას - ცვლილებები უნდა წარედგინოს საჯარო რეესტრს.

15.3 ის ურთიერთობები, რომლის რეგულირებაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებაში, წესრიგდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15.4. თუ ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულება გახდა ბათილი, ეს არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ნამდვილობაზე. ბათილი დებულების ნაცვლად მოქმედებს წესი, რომელიც ძალაშია და რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა მხარეთა მიერ დასახული მიზანი. კანონისმიერი განსაზღვრებები გამოიყენება მხოლოდ ამის შემდეგ. იგივე წესი მოქმედებს, თუ ამ ხელშეკრულებას აქვს ხარვეზები. მხარეები იღებენ ურთიერთვალდებულებას, რომ კეთილსინდისიერად იმოქმედებენ რათა უმოკლეს ვადაში აღადგინონ გაბათილებული ან ხარვეზის შემცველი დებულებების თავდაპირველი აზრი.

15.5 წინამდებარე აქტი შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს დავით ოყროშიძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები გადაეცა ამხანაგობას.

წევრების ხელმოწერები:

სოსო მაჩაიძე

ნინო ჭელიძე

ნინო რაზმიაშვილი

ანა თოდაძე

ვლასი ჯინჭარაძე

კოკი ბაბუნაშვილი

შორენა გაგლოევი

იზოლდა ხუჭუა
წარმომადგენელი

მამუკა გოგოლიძე

გივი კაპანაძე

გიორგი ხომეზური

გრიგოლ მახარაძე

თენგიზი კაპანაძე

ლაშა ექიზაშვილი

ნინო სოსელია

თეა აფხაიძე
წარმომადგენელი

თამარა ზიგერ-პოპიაშვილი

ნიკოლოზ შამუგია
წარმომადგენელი

ირინე მაზმიშვილი

ინგა გაგნიძე

ქეთევან მჭედლიძე

ნია ყარყარაშვილი

ანა მაჭავარიანი

ნონა ხამიცაშვილი

ბონდო სოფრომაძე

თამარ კიკნაძე

ნინო ველთაური

კარინე მალხაზოვა

თეა სხირტლაძე

იროდიონ თოდუა

ანა იოსელიანი

ქეთევან ოქროპირიძე

გიორგი შარიქაძე

ირაკლი დარსალია

თამარ ღვალაძე

გიორგი გეგეჭკორი

უკვი მეიშვილი
წარმომადგენელი

არჩილ კოტია

ნაირა ბეპიევი

გიორგი რატიანი

ნინო მაღლაკელიძე

ბორის დონჯაშვილი

გიორგი ბაკაშვილი

გიორგი ბიწაძე

თამარ ალადაშვილი

ნინო ბექაური

დავით მეტრეველი

დავით შათირიშვილი

ნათია ჩიღუნაძე

რუსუდან პაპიაშვილი

ბაგრატი ნერგაძე

ზურაბ მაისურაძე

შორენა უსუფაშვილი

ლია გუდაძე

ელგუჯა ბეპიევი
წარმომადგენელი

მარიამ ხომასურიძე

დავით ჯუღელი

ლია გოგოლაური

მიხაელ საპირ
წარმომადგენელი

ზურაბ შახაძე

ეკატერინე გურგენიძე

ირაკლი ჭინჭარაული
წარმომადგენელი

ანი აბაიშვილი

დავით მექვაბიშვილი

ვასილ ტატიაშვილი

ირმა თევდორაძე

ნიკოლოზ გურგენიძე

მირანდა გუდაძე

შორენა მჟავანაძე

გია ზაქარაია

ეკატერინე თაბუკაშვილი

თეა გაჩეჩილაძე

თამილა ჩაგელიშვილი

ანა თევდორაძე

მერაბ კაცობაშვილი

დალი მანაშერიძე

დავით ახვლედიანი

თეონა გვენეტაძე

მანანა ცინაძე

ნონა ლობჟანიძე

თამარი მულაძე

ეკატერინე შუბითიძე

იური იაგუტიანი

ნოტარიუსი

დავით ოყროშიძე

ნოტარიუსი დავით ოყროშიძე
საქართველო
GEORGIA
NOTARY DAVID OKROSHIDZE

რიგის ან N	სახელი	ფასი	პირადი ნომერი	mail	ტელეფონის ნომერი
1	სოსო მაჩაიძე	130	35001015126	soso_machaidze@yahoo.com	599850760
2	ნინო ჭელიძე	130	01030012249	nchelidze@napr.gov.ge	599528121
3	ნინო რაზმიაშვილი	130	43001006137	ninorazmiashvili@gmail.com	577620105
4	ანა თოდაძე	130	61001029162	atodadze@napr.gov.ge	591935399
5	ვლასი ჯინჭარაძე	160	62007013251	vlasi.milkway@gmail.com	599200555
6	კოკი ბაბუნაშვილი	130	01030025694	kokababunashvili@yahoo.com	599280542
7	შორენა გაგლოევი	130	01019008601	shgagloevi@psh.gov.ge	577620116
8	იზოლდა ხუჭუა	420	37001009877	david@skyglass.ge	593196375
9	მამუკა გოგოლიძე	500	38001045221	david@skyglass.ge	599181659
10	გივი კაპანაძე	500	01024037147	david@skyglass.ge	599181659
11	გიორგი ხომეზური	500	01025010799	david@skyglass.ge	599181659
12	გრიგოლ მახარაძე	500	33001028833	david@skyglass.ge	599181659
13	თენგიზი კაპანაძე	60	35001013119	tengo.kapanadze@gmail.com	592030708
14	ლაშა ექიზაშვილი	80	01003005311	lekizashvili@napr.gov.ge	577620122
15	ნინო სოსელია	120	35001071711	soposibashvili@yahoo.com	557909888
16	თეა აფხაიძე	200	18001001027	tapkhaidze@ipay.ge	577448839
17	ნიკოლოზ შამუგია	100	01031003289	d.tabatadze@abc-pharm.com	579738899
18	ირინე მაზმიშვილი	80	01008046925	imazmishvili@psh.gov.ge	577614420
19	იწვა გაგნიძე	100	01022001445	igagnidze@psh.gov.ge	599716672
20	ქეთევან მჭედლიძე	60	01001067741	kmchedlidze@psh.gov.ge	599518833
21	მაია ყარყარაშვილი	100	12001035105	maiakarkarashvili74@gmail.com	599781559
22	ანა მაჭავარიანი	80	01003008096	amachavariani@napr.gov.ge	571409090
23	ნონა ხამიცაშვილი	80	01010009569	nkhamitsashvili@psh.gov.ge	577614012
24	ბონდო სოფრომაძე	100	21001003637	ichaphichadze@psh.gov.ge	599080183
25	თამარ კიკნაძე	120	01016008122	tamkiknadze@psh.gov.ge	599646723
26	ნინო ველთაური	390	01024052897	tveltauri@yahoo.com	599801925
27	კარინე მალხაზოვა	100	01012007585	pressalik@gmail.com	599859355
28	თეა სხირტლაძე	200	35001049746	tskhirtladze@psh.gov.ge	577619126
29	იროდიონ თოდუა	100	42001010863	odotodua@gmail.com	593100115
30	ანა იოსელიანი	150	01002025195	nimeshvelashvili@psh.gov.ge	591502380
31	ქეთევან ოქროპირიძე	80	01022005512	kokropiridze@psh.gov.ge	591935020
32	გიორგი შარიქაძე	80	01005003541	g_shariqadze@yahoo.com	591935020

33	ირაკლი დარსალია	130	62001030215	idarsalia@aldagi.ge	593575313
34	გიორგი გეგეჭკორი	100	62006063583	ggegechkori@napr.gov.ge	558302040
35	გივი მეიშვილი	100	01019064702	gkvachantiradze@napr.gov.ge	591415796
36	ანა ნიკვაშვილი	80	01027026269	aninikvashvili@gmail.com	557303311
37	თენგიზ თიკანაშვილი	100	62007007054	tengizzi@gmail.com	599868646
38	გიორგი რატიანი	100	61004010540	dakharaishvili@psh.gov.ge	591972227
39	არჩილ კოტია	160	29001024522	kokakotia@yahoo.com	591972297
40	ნინო მაღლაკელიძე	80	01028006650	nmaglakelidze@napr.gov.ge	598530235
41	ბორის დონჯაშვილი	120	01012005335	bdonjashvili@psh.gov.ge	599850764
42	ნაირა ბეპიევი	120	01003001101	bepieva.naira@gmail.com	577777952
43	თამარა ზიგერ-პოპიაშვილი	120	01003002144	sieger.tamara@gmail.com	591117799
44	ნინო ბექაური	100	01017010093	nbekauri85@gmail.com	599131374
45	გიორგი ბიწაძე	100	01017044425	gbitsadze@napr.gov.ge	598324504
47	ნათია ჩიღუნაძე	90	01013002081	nchigunadze@napr.gov.ge	591415740
48	დავით მეტრეველი	90	01017007604	data-metreveli@mail.ru	577300140
49	დავით შათირიშვილი	100	35001001725	davit.shatirishvili@yahoo.com	577554462
50	ნელი ბენდიანიშვილი	160	01030025522	nbendianishvili@napr.gov.ge	591415774
51	რუსუდან პაპიაშვილი	80	01027032478	rpapiashvili@napr.gov.ge	599528102
52	ბაგრატ ნერგაძე	100	01017024983	nergadzebagrati@gmail.com	577158891
53	ზურაბ მაისურაძე	80	01005030318	zmaisuradze77@gmail.com	595230028
54	შორენა უსუფაშვილი	100	40001010235	shorenaausufashvili@gmail.com	596202060
55	დავით ჯუღელი	110	01030005773	djugeli@yahoo.com	599856764
56	ელგუჯა ბეპიევი	200	01024000201	nino.popiashvili@yahoo.de	577719989
57	მარიამ ხომასურიძე	130	01005001801	mkhomasuridze@bog.ge	595350404
58	ზურაბ შახაძე	110	08001007228	z.shakhadze@yahoo.com	577502040
59	ლია გოგოლაური	120	47001008095	lika-gogolauri@mail.ru	595727615
60	მიხაელ საპირ	300	01601135610	igagnidze@psh.gov.ge	599159248
61	ნინო აბაიშვილი	120	01030047611	n_abaishvili@yahoo.com	571909070
62	ეკატერინე გურგენიძე	130	01008036816	ijapharidze@yahoo.com	555406702
63	ირაკლი ჭინჭარული	110	01024028043	protocol@tbilisi.gov.ge	577151556
64	დავით მექვაბიშვილი	80	01008019084	datomekvabischvili@yahoo.com	599930099
65	ვასილ ტატიაშვილი	410	59001077431	vasotatishvili@gmail.com	551848788
66	ირმა თევდორაძე	160	60001011173	excellentcarservicenyllc@gmail.com	551870105
67	ნიკოლოზ გურგენიძე	100	01008008595	niko_gurgenidze@yahoo.com	591414995

[illegible]	[illegible]	200	57001001456	miranda_gudadze@yahoo.com	571707170
69	ილია გუდაძე	130	01019053133	iliagudadze@mail.ru	574477474
70	შორენა მჟავანაძე	120	01002020070	smzhavanadze@mkd.ge	571500020
71	გია ზაქარაია	120	62006039192	giazaqaraia@mail.ru	555500414
72	ეკატერინე თაბუკაშვილი	100	01031006144	etabukashvili@napr.gov.ge	598133222
73	თეა გაჩეჩილაძე	80	01008041126	tgachechiladze@psh.gov.ge	591319932
74	თამარ ღვალაძე	80	35001061950	tghvaladze@psh.gov.ge	595054665
75	ეკატერინე შუბითიძე	100	01027018435	eka.shubitidze@gmail.com	577744420
76	თამილა ჩაგელიშვილი	80	01024039377	tamunachagelishvili@hotmail.com	593319569
77	ანა თევდორაძე	420	01006015854	anatevdoradze@napr.gov.ge	593933020
78	კაცობაშვილი მერაბი	130	01017004832	merab-ibm@rambler.ru	574015544
79	დალი მანაშერიძე	130	01017008827	merab-ibm@rambler.ru	558777699
80	დავით ახვლედიანი	400	01017027886	d.akhvlediani@sda.gov.ge	555616071
81	თეონა გვენეტაძე	80	37001019027	tegvenetadze@psh.gov.ge	555130309
82	მანანა ცინაძე	100	01008032352	mtsinadze@napr.gov.ge	577111531
83	ნონა ლობჟანიძე	100	01005013633	noni.lobzhanidze@mail.ru	593717008
84	თამარ მულაძე	80	01030029598	tamuna.muladze@yahoo.com	591222321
85	იური იაგუტიანი	**120**	01009023348	yuri.yagutyan@gmail.com	599409479
86	გიორგი ბაკაშვილი	**120**	01008041104	baka@napr.gov.ge	577464442
87	თამარ ალადაშვილი	100	01011030552	aladashvili.tatia@gmail.com	514977700

ამხანაგობა „ჩვენი სახლის“-ს გამგეობის სხდომის ოქმი #1

ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ჩვენი სახლის“-ს ძირითადი მიზნის მისაღწევად სამშენებლო დოკუმენტაციის დამუშავებაზე (საპროექტო მომსახურებაზე), , სამშენებლო დოკუმენტაციის შეთანხმებაზე , სამშენებლო მოედნის მოწყობაზე და მასთან დაკავშირებით შემსრულებლისთვის თანხის გადახდაზე თანხმობის გაცემის თობაზე

ქ. თბილისი

24.04.2017 წ.

გამგეობის სხდომას დაესწრო გამგეობის შემდეგი წევრები:

ნინო რაზმიაშვილი (პ/ნ 43001006137, გამგეობის თავმჯდომარე),სოსო მაჩაიძე (პ/ნ 35001015126) ; შორენა გაგლოევი (პ/ნ 01019008601); კოკი ბაბუნაშვილი (პ/ნ 01030025694); ნინო ჭელიძე (პ/ნ 01030012249); ანა თოდაძე (პ/ნ 61001029162)

განსახილველი საკითხი:

1. ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ჩვენი სახლის“-ს ძირითადი მიზნის მისაღწევად სამშენებლო დოკუმენტაციის დამუშავებაზე (საპროექტო მომსახურებაზე) და სამშენებლო დოკუმენტაციის შეთანხმების, მათ შორის არსებული შენობების (არსებობის შემთხვევაში) დემონტაჟის საკითხებზე თანხმობის გაცემის თობაზე.

2. საპროექტო მომსახურებაზე სამუშაოს შემსრულებლისთვის 10 000 ლარზე მეტი თანხის გადახდაზე თანხმობის მიცემა.

ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ჩვენი სახლი“-ს დაფუძნების ხელშეკრულების (04.04.2017 წ.) 7.4.2 მუხლიდან გამომდინარე გამგეობა უფლებამოსილია განსახილველ საკითხზე იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება.

ამხანაგობის თავმჯდომარე: იბა „ჩვენი სახლი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 73 (საკადასტრო კოდი 01.18.06.019.110) ამხანაგობის მიერ დაგეგმილი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა დამუშავებული იქნას სამშენებლო დოკუმენტაცია (არქიტექტურული, კონსტრუქციული და ყველა ის დოკუმენტი, რომელიც საჭიროა მშენებლობის დასაწყებად). აღნიშნული დავალების შესრულება მოითხოვს არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროს ცოდნასა და გამოცდილებას. ამ მიზნის მისაღწევად ამხანაგობის წევრებთან ერთობლივი კონსულტაციების შედეგად ჩვენი არჩევანი გაკეთდა შპს „კაპო“-ზე (ს/კ **405202579**). ვთვლით, რომ აღნიშნულ კომპანიას შესწევს უნარი ამხანაგობა „ჩვენი სახლი“-ს ძირითადი მიზნის

მისაღწევად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო დოკუმენტაციის დამუშავებაზე (საპროექტო მომსახურებაზე). ამავდროულად შპს „კაპო“ ვალდებული იქნება საპროექტო დავალების შესაბამისად მის მიერ დამუშავებული სამშენებლო დოკუმენტაცია შეათანხმოს, როგორც ამხანაგობა „ჩვენ სახლთან“, ასევე მშენებლობის ნებართვის გამცემ უფლებამოსილ ორგანოსთან და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის ორგანიზაციებთან.

შპს „კაპო“-სთან შესაბამისი ხელშეკრულების დადების შემთხვევაში ამხანაგობა „ჩვენი სახლი“ გადასახდელი ექნება მომსახურების თანხა, რომელიც შესაძლოა იყოს 10 000 ლარზე მეტი, აღნიშნული კი ამხანაგობა „ჩვენი სახლის“-ს დაფუძნების ხელშეკრულების (04.04.2017 წ.) 7.4.3 მუხლის თანახმად საჭიროებს ამხანაგობის გამგეობის თანხმობას.

ამხანაგობის თავმჯდომარე: იბა „ჩვენი სახლის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 73 (საკადასტრო კოდი 01.18.06.019.110) არქიტექტორ რევაზ ტყემალაძის (პ/ნ 01024004230) მიერ დამუშავებული იქნა მრავალბინიანი კომპლექსი ესკიზი. არქიტექტორის მიერ შედგენილი ესკიზი ვთვლით, რომ პასუხობს ამხანაგობის მიზნის მისაღწევად საჭირო კრიტერიუმებს. პროექტის არქიტექტურული და გეგმარებითი გადაწყვეტა ამხანაგობის წევრების საერთო ინტერესების შესაბამისადაა წარმოდგენილი, ასევე პროექტის შეთანხმებამდე , იბა „ჩვენი სახლის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 73 (საკადასტრო კოდი 01.18.06.019.110) აუცილებელია მომზადდეს სამშენებლო მოედანი, მოხდეს ტერიტორიის სამშენებლო ნარჩენებისგან გასუფთავება და არსებული შენობანაგებობის დემონტაჟი.

იმისათვის, რომ მოხდეს აღნიშნული პრექტის შესათანხმებლად და მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარდგენა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის მუნიციალიტეტის არქიტექტურის სამსახურში ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ჩვენი სახლის“-ს დაფუძნების ხელშეკრულების (04.04.2017 წ.) 7.4.2 მუხლის თანახმად საჭიროებს გამგეობასთან შეთანხმებას.

აზრი გამოთქვეს სხდომაზე დამსწრე გამგეობის წევრებმა და გადაწყვიტეს:

ამხანაგობის გამგეობის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი თანახმაა, რომ ამხანაგობის თავმჯდომარემ განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ქმედებები შპს „კაპო“-სთან(ს/კ **405202579**) საპროექტო მომსახურების ხელშეკრულების დადებაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებისთვის 10 000 ლარზე მეტი თანხის (კერძოდ სახით 80000 (ოთხმოციათასი) დოლარის ექვივალენტი ლარში) გადახდაზე.

მოწონებული იქნეს არქიტექტორ რევაზ ტყემალაძის (პ/ნ 01024004230) მიერ დამუშავებული მრავალბინიანი კომპლექსის ესკიზი. მიეცეს თანხმობა ამხანაგობის თავმჯდომარეს განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ქმედებები

მუნიციალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარსადგენად მის შესათანხმებლად და მშენებლობის ნებართვის გასაცემად.

ასევე გამგეობის კრებაზე დამსწრე ყველა წევრი თანახმაა,მიეცეს თანხმობა ამხანაგობის თავმჯდომარეს განახორციელოს , იბა „ჩვენი სახლის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 73 (საკადასტრო კოდი 01.18.06.019.110) არსებული სამშენებლო ნარჩენებისგან გასასუფთავებლად და შენობა-ნაგებობის დემონტაჟის განსახორციელებელი ღონისძიებების გატარების უფლებამოსილება .

გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა გამგეობის კრებაზე დამსწრე ყველა წევრმა.

გამგეობის თავმჯდომარე:

ნინო რაზმიაშვილი ----------

გამგეობის წევრები:

სოსო მაჩაიძე ----------

შორენა გაგლოევი ----------

კოკი ბაბუნაშვილი ----------

ნინო ჭელიძე ----------

ანა თოდაძე ----------

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N170764088
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	07.07.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობა
ნოტარიუსი	დავით ჩალათაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი,მტკვრის ქ.#4
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2952228
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	78119550034417

საქართველო
ორი ათას ჩვიდმეტი წლის შვიდ ივლისს, მე, ნოტარიუს დავით ჩალათაშვილს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მტკვრის ქ. #4-ში მომმართეს სოსო მაჩაიძემ, ნინო რაზმიაშვილმა, შორენა გაგლოევმა, კოკი ბაბუნაშვილმა, ნინო ჭელიძემ და ანა თოდაძემ, რომელთაც განაცხადეს, რომ სურთ ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება ამხანაგობა „ჩვენი სახლის“-ს გამგეობის სხდომის ოქმზე #1.
მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართეს: სოსო მაჩაიძემ (დაბ.21.12.1979წელს, რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი რუსთავი, XXI მიკრო/რაიონი, N 12, ბინა 11, პირადი #35001015126, პ/მ სერია 13IF13889), ნინო რაზმიაშვილმა (დაბ.30.01.1984წელს, რეგისტრირებული მისამართზე: ქარელი ს. რუისი 31–ე ქ. N4, პირადი #43001006137, პ/მ სერია 11IA67675), შორენა გაგლოევმა (დაბ.02.09.1979 წელს, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი კახეთის გზატ. N 36 კორ. 6 ბ. 102, პირადი #01019008601, პ/მ სერია 16IA18357), კოკი ბაბუნაშვილმა (დაბ.12.11.1983წელს, რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა, N 29, პირადი #01030025694, პ/მ სერია 17IA06335), ნინო ჭელიძემ (დაბ.02.10.1976წელს, რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ზურაბ ქვლივიძეს ქუჩა, N 31, პირადი # 01030012249, პ/მ სერია 11IA68714) და ანა თოდაძემ (დაბადებული: 24.06.1986, პირადი # 61001029162, პირადობის მოწმობა# 13IO01215, რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვარკეთილის მასივი, ზემო პლატო, II მიკრო/რაიონი, კორპუსი 17, ბინა 100).
აღნიშნული მომენტისთვის მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე, ნოტარიუსმა დავით ჩალათაშვილმა განვუმარტე ხელმომწერ პირებს ოქმზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მათ წაიკითხეს და დაადასტურეს, რომ წინამდებარე ოქმზე ხელმოწერა ზუსტად გამოხატავს მათ ნებას. მე, ნოტარიუსი დავით ჩალათაშვილი ამ ოქმის დამოწმებისას ვადასტურებ, რომ ხელმოწერა მასზე უშუალოდ ხელმომწერ პირებს ეკუთვნით და არ ვადასტურებ ოქმში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად, პასუხს არ ვაგებ მათზე. ხელმოწერა შესრულებულია ხელმომწერი პირების მიერ პირადად, ჩემი თანდასწრებით.
დოკუმენტი წარმოდგენილია ერთ ეგზემპლარად. გადახდილია სახელმწიფო: თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად 12.0 (თორმეტი) ლარი, დღგ 2.16 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტისა შესაბამისად 2 (ორი) ლარი, სულ 16.16 (თექვსმეტი და 16) ლარი.
ნოტარიუსი: დავით ჩალათაშვილი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18